სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 სექტემბერი 2006 №225 (2847) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გვინდოდა?!

შტუტგარტელმა ექიმებმა განაჩენი გამოგვიცხადეს: ექვსი თვე უასათიანოდ

ძალიან უსიამოვნო ამბავი გერმანიიდან — შტუტგარტელ ექიმებთან გამოკვლევაზე მყოფმა მალხაზ ასათიანმა ნაღვლიანად გვითხრა, მუხლის ჯვარედინი მყესები მაქვს გაწყვეტილი და გამოჯანმრთელებას ექვსი თვე დასჭირდებაო.

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი რამდენიმე დღის წინ, რუსული პრემიერლიგის 21-ე ტურში არმიელმა ხორვატმა ივიცა ოლიჩმა დააშავა — მუხლის ქვემოთ გაშლილი ფეხი გამეტებით ჩაარტყა და...

აქამდეც ვწერდით, რომ, სამწუხაროდ, ტრავმა ძალიან სერიოზული იყო და ეს გუშინ შტუტგარტელმა ექიმებმაც დაადასტურეს — მალხაზ ასათიანი, სულ მცირე, ექვსი თვე ვერ გავა მოედანზე...

ჰიმნი, ჰიმნი გვინდა!



ოთარ თუშიშვილი

დღეს ბოლო შანსია: გოგშელიძე და კურტანიძე

ვერა და ვერ ვეღირსეთ ჩინურ გუანჯოუში მიმდინარე მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული ჰიმნის აჟღერებას.

დროშა უკვე ოთხჯერ აიწია — ოთხი მედალი ავიღეთ, მაგრამ ოქროსი ვერც ერთი და ეს არის ცუდი, თორემ მთლიანობაში ქართველი ფალავნები რიგიანად ჭიდაობენ ჩინურ ხალიჩაზე.

გუშინ ოქროსთან ძალიან ახლოს ვიყავით. ერთბაშად ორი ქართველი გავიდა ფინალში — შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და მსოფლიოს ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ), მაგრამ ვერც თუშიშვილმა გადაადნო ბრინჯაო ოქროდ და მინდორაშვილმაც შარშანდელ ტიტულს უსიამოვნო თავსართი „ექს" დაურთო.

დღეს კი გუანჯოუში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირიც მთავრდება და ქართულ დელეგაციას აქვს კიდევ ორი, თანაც ძალზე რეალური შანსი საიმისოდ, ჩინეთიდან ოქრო რომ წამოიღოს — ხალიჩაზე მსოფლიოს ძველი ჩემპიონები გიორგი გოგშელიძე (97 კგ) და ლუკა კურტანიძე (120 კგ) გავლენ.

რევაზ მინდორაშვილი

ლოდი აგვცდა, კენჭი გვერგო

შანსი ნაღდია: პორტუგალია

გუშინ იტალიაში, რომის „ფორო იტალიკოს" საჩოგბურთო სტადიონზე დევისის თასის 2007 წლის გათამაშების კენჭისყრა მოეწყო და ევროაფრიკული ზონის I ჯგუფში პირველად აღზევებულ საქართველოს პირველ მეტოქედ პორტუგალია ერგო.

I ჯგუფში დევისის თასის შარშანდელი ფინალისტი სლოვაკეთი, აგრეთვე ბრიტანეთის, სერბეთის, ჰოლანდიისა და იტალიის ძლიერი გუნდები არიან და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გაუმართლა, კენჭისყრამ ლოდის მაგივრად მართლაც რომ კენჭი არგუნა. თანაც მატჩი თბილისში ჩატარდება 9-11 თებერვალს და ამ შანსს გამოყენება უნდა.

პორტუგალიელებთან გამარჯვების შემთხვევაში ქართველების მომდევნო მეტოქე სერბეთი იქნება და ამას იქით კი უკვე ელიტარული, მსოფლიო ლიგის კარია.

M რუსული საქმე: Ж რაც ტუალეტში.ის გარეთ



ვესელინ ტოპალოვი

ერთი პარტიის მსვლელობისას მოჭადრაკე რამდენჯერ შეიძლება შევიდეს ტუალეტში? ეს კითხვა ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში მიმდინარე ვლადიმირ კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის საჩემპიონო მატჩისას გაუჩნდათ ბულგარელი ტოპალოვის გუნდის წევრებს.

როგორც ირკვევა, ტუალეტი ერთადერთი ადგილია, სადაც ვიდეო და აუდიოაპარატურა არ არის დამონტაჟებული, თანაც მეტოქეებს ინდივიდუალური ფეხსალაგი აქვთ და კრამნიკი მისთვის განკუთვნილს საეჭვოდ ხშირად სტუმრობს ხოლმე.

ბულგარელებმა დაითვალეს, რომ რუსი ჩემპიონი პარტიის მსვლელობისას ტუალეტში ს'შუალოდ 50-ჯერ (!) გადის. ამასთან დაკავშირებით ტოპალოვის შტაბის ხელმძღვანელმა სილვიო დანაილოვმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ტოპალოვმა შეიძლება უარი თქვას მატჩის გაგრძელებაზე.

„პატიოსანი თამაშის უზრუნველსაყოფად აეკრძალოთ მოჭადრაკეებს ინდივიდუალური ტუალეტებით სარგებლობა და საერთოშიც მხოლოდ მატჩის არბიტრის ნებართვით გავიდნენ" — ნათქვამია ბულგარელთა განცხადებაში.

ვლადიმირ კრამნიკი

საქართველო ჩემი შანსია

ენკე ჰილდებრანდს მიუჯდა

ტიმო ჰილდებრანდი კარში, რობერტ ენკე სათადარიგო — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა.

შეგახსენებთ: „ჰანოვერის“ მეკარე ენკეს ოჯახური ტრაგედიის გამო მისი ბუნდესნაკრებში მიწვევა საეჭვო გახდა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა.

„რობერტ ენკე საქართველოსთან მატჩისთვის ნაკრებში მივიწვიეთ. ჩვენ მისი იმედი გვაქვს“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა.

გახარებულია თავად ენკეც: „საქართველოსთან 7 ოქტომბრის მატჩი ჩემი შანსია. დიდი ხანი ველოდი ამ მომენტს და ვეცდები, მწვრთნელებს იმედები გავუმართლო.“

იოახიმ ლიოვი საამმატჩო შემადგენლობას დღეს გამოაცხადებს.

ძახა შალამბერიძე



რობერტ ენკე

რობერტო დონადონი ოლიმპიურად გაამხნევეს


ჯანი პეტრუჩი

გუშინ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანი პეტრუჩიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაც რობერტო დონადონის ბოლომდე ენდობა და მისი დიდი იმედი აქვს.

პეტრუჩი დონადონის პალერმოში შეხვდა და საკმაო ხანს ესაუბრა.

„დარწმუნებული ვარ, დონადონი საუკეთესო არჩევანია და მის ხელში ნაკრებს წარმატებები ექნება. მას სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენც და ფეხბურთის ფედერაციაც“ — თქვა პეტრუჩიმ.

შეგახსენებთ, რომ დონადონი იტალიის ნაკრების თავკაცად მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაინიშნა, როცა მუნდიალის მომგებმა მარჩელო ლიპიმ წასვლა გადაწყვიტა. მას შემდეგ იტალიელთა საქმე არცთუ სახარბიელოდ მიდის — მსოფლიოს ჩემპიონებმა ევროშესარჩევის პირველ ორ ტურში ერთადერთი ქულა აიღეს — 1:1 შინ ლიტვასთან, 1:3 სტუმრად საფრანგეთთან.

იმასაც გეტყვით, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ ულტიმატუმი წაუყენა დონადონის — თუ ის 7 და 11 ოქტომბერს უკრაინა-საქართველოსთან ექვს ქულას ვერ აიღებს, სხვა სამსახურის მოძებნა მოუწევს.

ძახა შალამბერიძე

მამლები და მამლაყინწები

7 ოქტომბერს გლაზგოში შოტლანდიასთან და 11 ოქტომბერს შინ ფარერებთან — ასეთია საფრანგეთის ნაკრების უახლოესი განრიგი ევროშესარჩევში და „მამლების“ თავკაცმა რაიმონ დომენეკმაც გუშინ საამმატჩებო 20-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა.

სიაში ორი ახალი ფეხბურთელი მოხვდა — ლიონელი ჟერემი ტულალანი და სევილიელი ჟულიენ ესკუდე.

მეკარეები: *გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (პარი სენ ჟერმენი);*

მცველები: *ერიკ აბიდალი (ლიონი), ჟან-ალენ ბუმსონგი (იუვენტუსი, იტალია), ფრენსის კლეერკი (ლიონი), უილიამ გალასი (არსენალი, ინგლისი), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (ბარსელონა, ესპანეთი), ჟულიენ ესკუდე (სევილია, ესპანეთი);*

ნახევარმცველები: *ალიუ დიარა (ლიონი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), ფლორენ მალუდა (ლიონი), პატრიკ ვიეირა (ინტერი, იტალია), ჟერემი ტულალანი (ლიონი);*

თავდამსხმელები: *სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (მარსელი), ლუი საა (მანჩესტერი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სილვენ ვილტორდი (ლიონი).*

ოლეგ ბლოხინის უკრაინული მაყრიონი

ტრავმირებული სერგეი რებროვი ნაკრებს გამოაკლდა

7 და 11 ოქტომბერს უკრაინა იტალიას სტუმრად და შოტლანდიას შინ ეთამაშება. ამ ორი მატჩისთვის უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

მეკარეები: *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ბოგდან შუსტი (შახტარი), ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო);*

მცველები: *ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), ალექსანდრ კუჩერი (შახტარი), ალექსეი გაი (შახტარი), ვიაჩესლავ სვიდერსკი (შახტარი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო), ბოგდან შერშუნი (დნიპრო), ალექსანდრ რომანჩუკი (არსენალი);*

ნახევარმცველები: *ოლეგ გუსევი (დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ოლეგ შელაევი (დნიპრო), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), ალექსანდრ რიკუნი (მეტალისტი);*

თავდამსხმელები: *არტიომ მილევსკი (დინამო), ალექსეი ბელიკი (შახტარი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია).*

უეფა და ჩვენ

წუხანდელ „გრასჰოპერ“ — „ატვიდაბერგს“ ქართველი მსაჯები მოემსახურნენ: ლევან ფანიაშვილი (არბიტრი), ლევან მიქელაძე, სერგო სპიცინი (ასისტენტები) და გიორგი ვადაჭკორია (სათადარიგო არბიტრი).

პირველ მატჩში „გრასჰოპერმა“ 3:0 მოუგო მეტოქეს, გუშინ კი 5:0 იმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ლუკა თალაკვაძე

UEFA CUP — უეფას თასი 2006-2007 I ეტაპი. საპასუხო მატჩები

ოდენსე (დანია) 1:0 *ჰერტა (გერმანია)* (2:2)
ბოლესლავი (ჩეხეთი) 4:2 *მარსელი (საფრანგეთი)* (0:1)
ლანსი (საფრანგეთი) 3:1 *ეთნიკოსი (კვიპროსი)* (0:0)
ნანსი (საფრანგეთი) 3:1 *შალკე (გერმანია)* (0:1)
ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა
ბრონდბიუ (დანია) 2:2 *აინტრახტი (გერმანია)* (0:4)
ცსკა (ბულგარეთი) 2:2დ.დ. (2:0) *ბეშიქთაში (თურქეთი)* (0:2)
ჰაპოელი (ისრაელი) 3:1 *ჩერნომორეცი (უკრაინა)* (1:0)
ილია კანდელაკმა სრულად ითამაშა და გააფრთხილეს, კახა მძავანაძეს და გიორგი შაშიაშვილს არ უთამაშიათ
პარმა (იტალია) 1:0 *რუბინი (რუსეთი)* (1:0)
პაშინგი (ავსტრია) 0:1 *ლივორნო (იტალია)* (0:2)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 0:0 *სეტუბალი (პორტუგალია)* (3:0)
დინამო (რუმინეთი) 4:1 *ძსანთი (საბერძნეთი)* (4:3)
ძაისერისფორი (თურქეთი) 1:1 *ალკმაარი (ჰოლანდია)* (2:3)
შოთა არველაძემ სრულად ითამაშა
ზულტე-ვარეგემი (ბელგია) 2:0 *ლოკომოტივი (რუსეთი)* (1:2)
მალხაზ ასათიანი და გიორგი ძელიძე ტრავმირებულები არიან
ოსერი (საფრანგეთი) 3:1 *დინამო (ხორვატია)* (2:1)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 5:0 *ატვიდაბერგი (შვედეთი)* (3:0)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:1 *ბაზელი (შვეიცარია)* (2:6)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:0 *ლოკომოტივი (ბულგარეთი)* (2:2)
გრონინგენი (ჰოლანდია) 1:0 *პარტიზანი (სერბეთი)* (2:4)
ლიტექსი (ბულგარეთი) 1:3 *მაკაბი (ისრაელი)* (1:1)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:2 *ლიბერეცი (ჩეხეთი)* (0:2)
მეტალურგი (უკრაინა) 0:1 *პანათინაიკოსი (საბერძნეთი)* (1:1)
ლევერკუზენი (გერმანია) 3:1 *სიონი (შვეიცარია)* (0:0)
ბრიუგე (ბელგია) 1:1 *რუჩომგეროკი (სლოვაკეთი)* (1:0)
ირაკლისი (საბერძნეთი) 0:2დ.დ. (0:1) *ვისლა (პოლონეთი)* (1:0)
ნიუკასლი (ინგლისი) 2:1 *ლევადია (ესტონეთი)* (1:0)
რანდერსი (დანია) 0:3 *ფენერბაჰჩე (თურქეთი)* (1:2)
აიაქსი (ჰოლანდია) 4:0 *სტარტი (ნორვეგია)* (5:2)
აუსტრია (ავსტრია) 1:0 *ლეგია (პოლონეთი)* (1:1)
გლეიმერნი (ინგლისი) 2:0 *ზალცბურგი (ავსტრია)* (2:2)
კიევო (იტალია) 2:1დ.დ. (2:0) *ბრაგა (პორტუგალია)* (0:2)
ოსასუნა (ესპანეთი) 0:0 *ტრაბზონსფორი (თურქეთი)* (2:2)
პალერმო (იტალია) 3:0 *ვესტ ჰემი (ინგლისი)* (1:0)
რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 *მიოლდე (ნორვეგია)* (0:0)
სელტა (ესპანეთი) 3:0 *სტანდარდი (ბელგია)* (1:0)
ნასიონალი (პორტუგალია) 1:2დ.დ. (1:0) *რაპიდი (რუმინეთი)* (0:1)
პსჟ (საფრანგეთი) 2:0 *დერი სიტი (ირლანდია)* (0:0)
სპარტა (ჩეხეთი) 0:0 *ჰარლემი (შოტლანდია)* (2:0)
ტოტენჰემი (ინგლისი) 1:0 *სლავია (ჩეხეთი)* (1:0)
ესპანიოლი (ესპანეთი) 3:1 *არტმედია (სლოვაკეთი)* (2:2)
სევილია (ესპანეთი) 4:0 *ატრომიტოსი (საბერძნეთი)* (2:1)

ირაკლი მოდებაძის (მარჯვნივ) და დავით კვირკველიას ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ „პანათინაიკოსთან“ დათმო

AFP ზაპოროჟიედან

ნორვეგია
ტიპელიგა. XXI ტური
რუსენბორგი 2:1 ტრომსიო

ფინეთი
თასის მეოთხედფინალი
ინტერი 0:2 ტამპერე

ამხანაგური მატჩი
ვენესუელა 1:0 ურუგვაი

დონადონი თბილისში უნდა მოიხსნას

კახა კალაძე: იტალია დარწმუნებული არ არის

კახა კალაძემ ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ თამაში ნელ-ნელა განაახლა, სამშაბათს კი ჩემპიონთა ლიგაში „ლილის“ წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე მოედანზე იყო. იტალიელი სპეციალისტების შეფასებით, ჩვენიანმა დამაკმაყოფილებლად ითამაშა, თუმცა მათივე თქმით, კალაძეს მაინც ეტყობა, რომ ჩვეულ ფორმაში ჯერ არ არის.

ალბათ გახსოვთ, კახა კალაძე ზაფხულში დაშავდა, რის გამოც საქართველოს ნაკრების ბოლო სამი შეხვედრა გამოტოვა და აქამდე ვერც „მილანს“ ეხმარებოდა...

— ფეხი ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ ისე არა, თამაში არ შემეძლოს. როგორც ექიმებმა მითხრეს, ტკივილები ერთ-ორ დღეში გამივლის და მერე მოედანზე უფრო თამამად ვიქნები — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ.

— სასურველ ფორმამდე ბევრი დაგრჩა?

— ერთი თვის უთამაშებელი და, ფაქტობრივად, უვარჯიშებელიც, მგონი, კიდევ კარგად გამოვიყურები. რა თქმა უნდა, ჯერ ისეთ ფორმაში ვერ ვარ, როგორიც მსურს, თუმცა ერთი-ორი მატჩიც და, შესამჩნევად მოვუმატებ. ახლა მთავარია, ტრავმა არ გამიმიზეზდეს, თორემ „მილანში“ ისეთი აღდგენითი პროცედურებია, ფორმას სწრაფად დავიბრუნებ.

— საქართველოს ნაკრებსაც აღარ დააკლდები...

— არანაირი პრობლემა არ არის, 3 ოქტომბერს გუნდის შეკრებაზე როსტოკში ვარ დაბარებული და იქ ვიქნები. იქამდე კი, კვირას, იტალიის ჩემპიონატშიც ვითამაშებ და ნაკრებს უფრო მომზადებული შევუერთდები.

— ამასობაში კი „მილანმა“ ჩამოკლებული ქულები აინაზღაურა...

— მინუსებიდან ამოვედით, მაგრამ ლიდერებს ჯერ კიდევ ბევრით ჩამოვრჩებით. ახლა ყოველ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მართალია, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და წინ ძალიან ბევრი თამაშია, მაგრამ ახლავე ცხადია, რომ „მილანისთვის“ ეს სეზონი უმძიმესი იქნება.

— შენ უკვე „მილანის“ ვიცე-კაპიტანი ხარ. გუნდს სათამაშოდ როდის გაიყვან?

— როცა მალდინი და ამბროზინი არ ითამაშებენ. ჯერ ვიცე-კაპიტანი ვარ, თუმცა ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ვითამაშო და გუნდმა მიზანს მიაღწიოს. ისე კი, „მილანში“ კაპიტანს არ ირჩევენ, სამკლავური მას ერგება, ვინც ყველაზე სტაჟიანი მილანელია.

— სხვათა შორის, ამ სეზონში „მილანის“ შემადგენლობა ხშირად იცვლება. ეტყობა, შევჩენკოსა და სტამის წასვლამ გუნდის ტაქტიკური მონახაზიც არია...

— არა, ჩვენი ტაქტიკური მონახაზი იგივეა, შემადგენლობა კი მართლაც ხშირად იცვლება. ტრავმირებულებიც ბევრი გვყავს და, რა თქმა უნდა, შევჩენკოს წასვლაც საგრძნობლად დაგვეტყო. თუმცა „მილანიდან“ წასვლა თავად შევჩენკოსაც დაეტყო, როცა „ჩელსის“ თამაშებს ვუყურებ, შთაბეჭდილება მრჩება, გუნდი თავისთვის თამაშობს, შევჩენკო — თავისთვის. ის ვერანაირად ვერ შეეწყო ახალ გუნდს.

— ალბათ ადაპტაცია გაუჭირდა...

— ალბათ. მაგრამ ჩვენ მისგან უფრო მეტს ველოდით. შევჩენკო ისეთი დონის ფეხბურთელია, ადრე თუ გვიან თავის სიტყვას მაინც იტყვის. ამასობაში კი „მილანიც“ დაალაგებს თამაშს და ცოტა ხანში უფრო სტაბილური შემადგენლობით ვითამაშებთ.

— მალე საქართველო — იტალიაა. რას ამბობენ მანდ მომავალ მატჩზე?

— ჯერ უფრო უკრაინასთან შეხვედრაზე ფიქრობენ. განსაკუთრებული არაფერი ხდება, მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და უკრაინასთან შინ მოგება არ უნდა გაგვიჭირდესო, ამბობენ. ჩემს თანაგუნდელებს კი საქართველოში თამაში უფრო მძიმე და რთული ჰგონიათ. როცა ბიჭებს ვესაუბრები, ვხვდები, რომ ისინი ჩვენთან მოგებაში დარწმუნებულნი არ არიან, მათ ჩვენი წინა მატჩები კარგად ახსოვთ. ესენი ახლა ფსიქოლოგიურად მძიმე დღეში არიან, ლიტვას შინ ვერ მოუგეს, საფრანგეთთან წააგეს და ახლა ყოველი მატჩის წინ შებოჭილები იქნებიან.

— ითქვა, უკრაინასთან და საქართველოსთან ქულების დაკარგვის შემთხვევაში იტალიის ნაკრების მწვრთნელი მოიხსნებაო...

— რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი რომ ჩააგდოს, მწვრთნელს მოხსნიან.

ქობა ინასარიძე

ახალი გერმანელებისთვის 7 ოქტომბერი ტრამპლინია

ალექსანდრე იაშვილი: აქ საქართველო აინტერესებთ

7 ოქტომბრამდე ბევრიც აღარ დარჩა, დღეს იოახიმ ლიოვი გერმანიის ნაკრების შემადგენლობასაც დაასახელებს... როგორი ვითარებაა გერმანიაში ქართველებთან ამხანაგური თამაშის წინ? ამ თემაზე, ბუნებრივია, ჩვენს ნაკრებსა და „ფრაიბურგზეც“ ალექსანდრე იაშვილს დავეკითხეთ...

— რამდენიმე გერმანელი ჟურნალისტი უკვე დამიკავშირდა და საქართველოს ნაკრებზე მესაუბრა. რა თქმა უნდა, ინგლისს ან იტალიას რომ ხვდებოდნენ, სულ სხვა აჟიოტაჟი იქნებოდა, მაგრამ ინტერესი მაინც შეიმჩნევა.

— 7 ოქტომბერს გერმანიის ნაკრების მწვრთნელი რამდენიმე ახალბედას ათამაშებს...

— ამიტომ უფრო ელიან ჩვენთან თამაშს. როგორც ვიცი, კარში ტიმო ჰილდებრანდის დაყენებას აპირებენ, ორი-სამი ფეხბურთელი სულაც პირველად მოხვდა გერმანიის ნაკრებში და, ბუნებრივია, ისინი ყველანაირად ეცდებიან, დაამტკიცონ, რომ ნდობის ღირსნი არიან.

— გერმანიასთან თამაშის შემდეგ ოთხ დღეში იტალიასთან მატჩია. მართალია, ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონებს უფრო შეთამაშებული შეხვდება, მაგრამ დაღლილობაც ხომ არ იჩენს თავს?

— არა. ოთხ დღეში ერთხელ ყველა თამაშობს და ჩვენ რა გამონაკლისები ვართ... თანაც გერმანიას ვხვდებით და ძალას არც ერთი დავზოგავთ. ნაკრების ისტორიაში ასეთ ძლიერ მეტოქესთან ამხანაგური არასოდეს გვითამაშია და რა დროს დაღლილობაზე ლაპარაკია...

— მეორე ბუნდესლიგაში ხუთი ტური ჩატარდა და ერთხელაც არ მოგიგიათ. რა სჭირს „ფრაიბურგს“?

— არ ვიცი, ჩვენც ასეთ გაურკვევლობაში ვართ. ფაქტია, ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს, თორემ ბუნდესლიგაში გადასვლა ოცნებად დაგვრჩება.

— ფოლკერ ფინკეს მოხსნაზე ხომ არ ალაპარაკდნენ?

— არა, ფინკე თავისი ნებით თუ არ გადადგა, „ფრაიბურგიდან“ არავინ გაუშვებს.

— ოთარ ხიზანეიშვილი ჯანმრთელადაა და, როგორც ვიცით, მომდევნო ტურში ითამაშებს...

— ეს ფინკემაც თქვა. ვარჯიშებზე ოთარი კარგად გამოიყურება. ახლა დავით სირაძის აუე-ს ვხვდებით, ძალიან პრინციპული თამაშია.

— გავიგეთ, „ფრაიბურგში“ 17 წლის ქართველი დავით თარგამაძე ვარჯიშობს...

— ძირითად გუნდში ვარჯიშობს და ვნახოთ... საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება.

ილია ნანობაშვილი

ჭიათურა — ბურკაძე: გამოვა თუ არა?

ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი თავკაცი რევაზ ბურკაძე შესაძლოა, პირველი ლიგის ჭიათურის „მაღაროელის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს.

როგორც შევიტყვეთ, მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

„მაღაროელს“ შვიდი ტურის შემდეგ 8 ქულა აქვს და 18-გუნდა პირველ ლიგაში მე-12 ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ ბურკაძემ „ტორპედო“ წინა ჩემპიონატის ბოლოს დატოვა და დღემდე უმუშევარია. სეზონის წინ მას გორის „დილაც“ სთავაზობდა სამსახურს, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა.

კახა შალამბერიძე

0:18 ევროპის ჩემპიონთან

გუშინ საქართველოს ქალ ფეხბურთელთა 19-წლამდელთა ნაკრებმა მაკედონიის ქალაქ სტრემიცაში ევროშესარჩევი ტურნირის მეორე მატჩი გამართა ევროპის ჩემპიონ გერმანიასთან და 0:18 წააგო.

ანგარიში მოულოდნელიაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით — ქართველ 19-წლამდელ გოგონებს ახლა მასპინძლებთან მატჩიღა რჩებათ საიმისოდ, რომ ერთი გოლი მაინც გაიტანონ შესარჩევში.

ჩვენი გოგონების საშაბათო მეტოქემ გუშინ ავსტრიასთან 1:7 წააგო.

გერმანია	2	2	0	0	25:0	6
ავსტრია	2	2	0	0	17:1	6
მაკედონია	2	0	0	2	1:14	0
საქართველო	2	0	0	2	0:28	0

რუმინეთში სხვა გუნდი იქნება

ჰაინც ტოპმიოლერი: შეჯერება, ჯგუფიდან გავალთ

გადრე კუბილაძის ფოტო

დღეს საღამოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები რუმინეთში გაემგზავრება, სადაც 4 ოქტომბრიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები მასპინძლები, ჩრდილოირლანდიელები და ბელგიელები არიან — მომდევნო ეტაპზე ორი გუნდი გადის.

ჰაინც ტოპმიოლერის დამოძღვრილმა 19-წლამდელებმა გუშინ მორაგი ტესტ-მატჩი ითამაშეს, მათი მეტოქე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები იყო, რომელიც გუშინდელი მატჩისთვის ნაუცბათევად შეიქმნა — ტოპმიოლერს იმ ფეხბურთელების გამოცდაც აინტერესებდა, რომლებიც მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატები არიან.

შეხვედრა „მიხეილ მესხზე“ გაიმართა და 18-წლამდელების გამარჯვებით დასრულდა — 2:0. გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

19-წლამდელები: თევდორაძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია, თომაშვილი (ხიდეშელი), ელბაქიძე, ბჟალავა (ჩიმაკაძე), განუგრავა, ბენაშვილი (თოდაძე), ნ. კვასხაძე (მაილაშვილი), გოცირიძე (ჭედია), წინამძღვრიშვილი (კვარაცხელია).

18-წლამდელები: რ. კვასხვაძე (კაკალაძე) გავაშელიშვილი, ხუმარაშვილი (ჯანელიძე), ქვრივიშვილი, სანაია, დაუშვილი (შარანგია), ჩარგეიშვილი, სოფრომაძე, ბაბულაიძე, წულაძე, ფანცხავა.

პირველი ტაიმი 19-წლამდელების უპირატესობით წარიმართა, რომელთაგან საუკეთესო შანსი რატი წინამძღვრიშვილს ჰქონდა და ახლოდან თავურით ააცილა კარს.

მეორე ტაიმი კი აბსოლუტურად განსხვავებული გამოდგა. უმცროსები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ, მეტს მოძრაობდნენ, უფრო მწვავედ უტევდნენ და გოლებიც გაიტანეს — ორივე ბურთი ფანცხავამ შეაგდო. 19-წლამდელებს კი ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდათ, როცა კვარაცხელიამ ახლოდან ვერ დაუმიზნა კარს.

18-წლამდელები უფრო მოტივირებულები და მონდომებულნი ჩანდნენ, ისინი ძალიან ცდილობდნენ, თავი მოაწონებინათ ჰაინც ტოპმიოლერისთვის. თუმც 19-წლამდელებსაც მართებდათ ჯიგრიანი გარჯა, რადგან ჰერ ჰაინცი რუმინეთში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიას დღეს გამოაცხადებს და ვინძლო, გუშინდელ 18-წლამდელთა ნაკრებიდანაც აიყვანოს ფეხბურთელები.

გუშინდელი მატჩის შემდეგ *ჰაინცი ტოპმიოლერს* რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— 18-წლამდელთა გუნდი ძალიან კარგად იყო განწყობილი საბრძოლოდ. მათ მატჩის წინ ვუთხარი, ყველაფერი ჩაედოთ ამ თამაშში. მოხარული ვარ, რომ ისინი მართლაც მოტივირებულები იყვნენ. მათში არიან ისეთი ფეხბურთელები, მომავალში მაღალ დონეზე თამაში რომ შეუძლიათ. არ მინდა, მათგან ვინმეს ყურადღება მოაკლდეს — ამ ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობაში სიფრთხილე გვმართებს.

— 19-წლამდელთა თამაშზე რას იტყოდით?

— გუნდს დღეს თავისი ნამდვილი თამაში არ უჩვენებია. მანამდე კიდევ ორი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ — „მერანთან“ და „გაგრასთან“. რუმინეთში ჩვენი 19-წლამდელები სულ სხვა გუნდად წარდგება. მჯერა, ამ გუნდს კარგი მებრძოლი ხასიათი აქვს, რაც რუმინეთში უნდა გამოჩნდეს. ბიჭებმა გვთხოვეს, გამგზავრებამდე ეკლესიაში გვინდა წასვლაო და ხვალ სამების ტაძარში წავალთ.

— მეტოქეებზე რას იტყოდით?

— ბელგიამ წინა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა, მაგრამ თაობები ხომ იცვლება და ძნელია, შეფასების გაკეთება. ჩვენი გუნდის იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, ბიჭები თავდაჯერებულად ითამაშებენ. მჯერა, ჯგუფიდან გავალთ.

დავით თაგართაძილაძე

გადრე კუბილაძის ფოტოები

გუშინდელ მატჩს მანდილოსანი მსაჯი ჰყავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ფარაგ ფოლადაშვილის ფოტო

უნაკრებობას მივეჩვიე

გიორგი კახელიშვილი: დინამოს ჩემპიონატში მოვუგებთ

— „ოლიმპი“ ახალშექმნილი გუნდია და ბევრისთვის მოულოდნელია თქვენი წარმატება...

— მთავარი ჩვენი ერთსულოვნებაა. კლუბის ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, ფეხბურთელები თავს არ ვზოგავთ და შედეგიც ამ ერთიანობით მოდის.

— „ოლიპმი“ თამაშის ხარისხითაც ამტკიცებს, რომ შემთხვევით არ არის ლიდერი...

— ჩემი აზრით, გუნდის მთავარი ღირსება დისციპლინა უნდა იყოს და ჩვენთან სწორედ ასეა. ცხადია, ამაში გიორგი კიკნაძის დიდი დამსახურებაა.

— კიკნაძე ახალგაზრდა მწვრთნელი და ალბათ თქვენი მეგობარიცაა...

— მინდორს მიღმა მართლაც მეგობარია. გიორგი ახალგაზრდა კია, მაგრამ მაგარი პროფესიონალია და მკაცრიცაა.

— საკუთარ თამაშზე რას იტყვი, კმაყოფილი ხარ?

— ჩემს თამაშს ყოველთვის უარყოფითად ვაფასებ. რა ვქნა, ასეთი თვითკრიტიკული ვარ და ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. ვგრძნობ, რომ უკეთ შემიძლია თამაში. „ლოკომოტივში“ ბოლოს გატარებული ექვსი თვე ჩემთვის საშინელება იყო, დღეს კი ჩემი ადგილი და გუნდი ვიპოვე — ამით კმაყოფილი ვარ, თუმცა, კიდევ უნდა მოვუმატო.

— 21-წლამდელთა ნაკრებში რომ არ გამოგიძახეს, გულდაწყვეტილი ხარ?

— უკვე მივეჩვიე, რომ ნაკრებში არ უნდა ვიყო. როცა ჩავარდნა მქონდა, გასაგებია, მაგრამ როცა გამოსაძახებელი ვიყავი, მაშინაც არ მიძახებდნენ. ახლა კი ჩემთვის „ოლიმპია“ მთავარი.

— ჩემპიონატში „ოლიმპის“ კონკურენტები ვინ არიან?

— „ამერი“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“... „ამერი“ ალბათ საუკეთესოა ამ ეტაპზე. თანაც ეს ის გუნდი არ არის, ერთ წელიწადს რომ მაგრად თამაშობს და მერე იშლება. ჯერ არ გვინდა „ოლიმპის“ საჩემპიონო მიზნებზე ლაპარაკი — დრო გავა და ყველაფერი გამოჩნდება.

— ფავორიტებში „დინამო“ არ გიხსენებია...

— „დინამო“ იმიტომ უნდა მეხსენებინა, რომ თასზე 3:0 მოგვიგო? რა ვიცი, „დინამო“ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და ჯერ როგორ ჩავთვალოთ კონკურენტად... მე, უბრალოდ, პირველ ოთხეულში მყოფი გუნდები ჩამოვთვალე, თორემ „დინამო“ მაინც „დინამოა“ და მისი მარტო სახელიც ბევრს ნიშნავს. ისე, პირველ წრეში „ამერისა“ და „დინამოს“ გარდა, ყველა კონკურენტს ვეთამაშეთ და შეიძლება ითქვას, ახალ წლამდე ძალიან კარგი კალენდარი გვაქვს.

— „დინამოსთან“ მარცხმა რამე ხომ არ არია გუნდში?

— არა, უბრალოდ, საწყენი იყო. წინასწარ არ მინდა, ვთქვა, მაგრამ ყველა ნახავს, ვინ მოიგებს, როცა ჩემპიონატში შევხვდებით „დინამოს“. ისე, 0:2-ზე გოლი რომ გავიტანე, მგონი, თამაშგარე არ იყო.

— საქართველოს ჩემპიონატში რომელ თავდამსხმელებს გამოარჩევ?

— ყველას თავისი პლუს-მინუსები აქვს, ძნელია ვინმეს გამორჩევა. ისე, მიხეილ ბობოხიძე და ირაკლი სირბილაძე მართლაც კარგი ფორვარდები არიან.

ილია ნანოგაშვილი

მობრძანდით მაფიის მშვენიერ მხარეში!

პალერმომ რბევის ღამე გადალახა — უეფას თასზე „პალერმოსა“ და „ვესტ ჰემის“ შეხვედრის წინ სიცილიაზე ინგლისელი ფანები გამოჩნდნენ, რომელთაგან ოცი დილისთვის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

თუ გახსოვთ, დაძაბულობა ჯერ კიდევ პირველი მატჩის შემდეგ შეინიშნებოდა. ამის მიზეზი გახლდათ მაისურები, რომლებიც „აპტონ პარკზე“ მისულ ინგლისელებს ეცვათ. მაისურებზე ეწერა: „ვესტ ჰემი“ მაფიის წინააღმდეგ. ამავე მაისურებზე ეხატა მარიონეტი. ერთი სიტყვით ინგლისელებმა იტალიიდან ჩამოსულთ შეურაცხყოფა დაახვედრეს — რაკი სიცილიიდან ხართ ესე იგი მაფიოზები ბრძანებულხართო.

მაისურები, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ, „აპტონ პარკს“ გარეთაც იყიდებოდა. შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

საპასუხო თამაშის წინა დღეს კი ინგლისელი ფანები პალერმოს ცენტრში, ტეატრო მასიმოს წინ გადაეყარენ ადგილობრივებს და მათი ურთიერობა მყისვე მასობრივ ჩხუბში გადაიზარდა. პოლიციას წესრიგია აღსადგენად საათზე მეტი დასჭირდა, რაც საკმაოდ კარგად მეტყველებს მომხდარის მასშტაბზე. ექვსი გულშემატკივარი დაშავდა, თუმცა სერიოზული არაფერი დამართნიათ.

ასეთი საღამოს გადამტან პალერმოელებს ბუნებრივია, სამართალდამცველთა დამატებითი ძალების მობილიზება დასჭირდათ, რამეთუ გუშინ სიცილიაზე კიდევ 2500 ინგლისელს ელოდნენ. შეცბნენ თავად „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელები და კლუბის თანამშრომლებიც, რადგან პალერმოში ჩაფრენილთ, სავარჯიშო მოედნის სიახლოვეს დახვდათ პლაკატები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მაფიის მშვენიერ მხარეში“ და „თქვენ მაფიის გარეშე დაგამარცხებთ“. ერთი სიტყვით, ლონდონელებმა იგრძნეს, რომ იტალიელებისთვის ორი კვირის წინ, თავიანთი მაისურების ფრიალით დიდი შეურაცხოფა მიუყენებიათ.

„შეტაკება გულშემატკივართა ჯგუფებს შორის ქალაქის ცენტრში მოხდა. მიდამო დაიფარა შუშის ნამტვრევებით. ვთხოვთ როგორც „პალერმოს“ ასევე „ვესტ ჰემის“ ქომაგებს, თავი შეიკავონ და მოწინააღმდეგე მხარის პროვოკაციებს არ აჰყვნენ“ — ეწერა პალერმოში პოლიციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

პაპუნა კედია

მასიმო მორატი

ამბავი ჭუჭრუტანიდან

გახსოვთ თუთაშხიადან: სხვის კარში ჭვრიტინი და სხვისი ყურის გდება სადაური წესიაო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას იტალიელები ცდილობენ.

„ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი უარყოფს ჭორს, რომელიც, როგორც „სარბიელის“ მკითხველისთვის არის ცნობილი, ამ ბოლო დროს დაუყარეს. საქმე 2002 წელს კერძო დეტექტივის დაქირავებასა და მსაჯის მასიმო დე სანტისის თვალთვალს, აგრეთვე მისი სატელეფონო საუბრების მოსმენას ეხება. მოგეხსენებათ, დე სანტისი კალჩოპოლის სკანდალში მონაწილეობის გამო თავად არის სპორტული ტრიბუნალის მიერ ოთხი წლით დისკვალიფიცირებული.

მორატიმ „გაძეტა დელო სპორტს“ მისცა ინტერვიუ:

„წამითაც არ ვლელავ რაიმეზე — განაცხადა მილიონერმა — და საჯაროდ ვაცხადებ, რომ არავინ არავის სათვალთვალოდ არ გამიშვია“.

შეგახსენებთ, რომ იტალიური მედიის განცხადებით „ინტერმა“ დე სანტისის თვალთვალი მას მერე დაიწყო, რაც უთხრეს, რომ მასა და „იუვენტუსის“ სკანდალურად ცნობილ, აწ უკვე ყოფილ გენერალურ მენეჯერს ლუჩანო მოჯის შორის საეჭვო ურთიერთობებია.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთმა „ლა სტამპამ“ კომენტარი ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერსაც თხოვა. მსოფლიო ფეხბურთის თავარმმართველმა განაცხადა:

„მსაჯის თვალთვალი სპორტულ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება და ეს დაუშვებელია. თუ მორატის რაიმე ეჭვი ჰქონდა, ვალდებული იყო იტალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის მიემართა“.

პაპუნა კედია

კაკამ კარლოს ხე დაუნუნა

ზეედორფი ანჩელოტის შეურიგდა

იტალიურ „მილანში“ კვლავ დაძაბულობაა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, „როსონერის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჯერ ბრაზილიელ კაკას, მერე კი ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფს წაეკინკლავა. თუმცა მოგვიანებით მხარეებმა განაცხადეს, არანაირი კონფლიქტი ჩვენს შორის არ არის და ამბავს ნუ გაამუქებთო.

ახლა კი კაკამ ანჩელოტის ტაქტიკა, ეგრეთ წოდებული „ნაძვის სისტემა“, ანუ 4-3-2-1 გააკრიტიკა. ბრაზილიელის თქმით, იგი ერთფორვარდიან სქემებს ვერ იტანს და „მილანი“ ასე არ უნდა თამაშობდეს. „როსონერიმ“ ბოლო ორი შეხვედრა სერია A-ში „ლივორნოსთან“ და ჩემპიონთა ლიგაზე „ლილთან“ ამ ტაქტიკით ითამაშა, ორივე მატჩი უგოლოდ დასრულდა. თავად ანჩელოტის ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მას დამცველები გამოუჩნდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი ზეედორფია.

„არ ვიცი, ზუსტად რა თქვა კაკამ, მაგრამ ამ სისტემით კარგად ვთამაშობთ და ეს ჩვენთვის ახალი არ არის. 4-3-2-1 ჩვენი მეორე ტაქტიკაა და ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. კაკამ ერთ კვირაში სამი მატჩი ჩაატარა და გადაღლილია. იგი ალბათ იმან დაამწუხრა, რომ ბოლო ორ შეხვედრიდან ერთიც ვერ მოვიგეთ და ეს განცხადებაც ამას უნდა დავაბრალოთ. ამის გამო აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოსწორდება“ — აღნიშნა ზეედორფმა.

„მილანის“ ნახევარმცველი ჯენარო გატუზო: „რომელ ტაქტიკას ვამჯობინებ? იმას, რომელსაც მწვრთნელი ირჩევს ხოლმე“.

გიორგი კაკაბაძე

სიყვარულის ისტორია ვენგერმა არსენალი იშვილა



„არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარემ დევიდ დინმა თქვა, რომ არსენ ვენგერის კიდევ ათი წლით დატოვება სურს.

ანუ, თუ ეს იდეა განხორციელდა, ვენგერი ოცწლიანი მენეჯერი გამოვა: ის „არსენალში“ 1996 წლის 28 სექტემბერს მივიდა იაპონური „ნაგოია გრამპუს ეითიდან“.

ამ ათ წელიწადში ვენგერმა ვარსკვლავებად აქცია პატრიკ ვიერა, ნიკოლა ანელკა, კოლო ტურე და სესკ ფაბრეგასი, ხოლო „არსენალი“ ახალ სტადიონზე გადავიდა.

დინი, რომელმაც პირადად მოიყვანა ვენგერი ათი წლის წინ, მეთოფეთა აქციონერების აზრს გამოხატავს: კიდევ ათი წელი.

„მგონი ეს ორმხრივი სასიყვარულო ისტორიაა — ამბობს დინი — მგონია, რომ მას შვილივით უყვარს კლუბი. ჩვენ გვინდა, რომ ის სამუდამოდ დარჩეს აქ, მაგრამ თუ ერთ დღესაც ის გადაწყვეტს, რომ მენეჯერობა მობეზრდა, გვინდა, რომ მნიშვნელოვან ფიგურად დარჩეს კლუბში. თუმცა, ამაზე ფიქრი ჯერ აღრეა. ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს და არსენი მის სრულყოფაზე ზრუნავს“.

ირაკლი გამყრელიძე

შავის მთქმელებს ჯიბე შეუთხელეს

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ „ალემანია“ და „მიონხენგლადბახი“ მათი ფანების რასისტული გამოხდომების გამო დააჯარიმა. პირველს 50, მეორეს კი 19 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. სადისციპლინო კომიტეტი 75 და 24 ათასით დაჯარიმებას ითხოვდა, მაგრამ კლუბებისგან ოფიციალურად მობოდიშების შემდეგ თანხა შემცირდა.

ეს გუნდები ერთმანეთს 16 სექტემბერს შეხვდნენ. „ალემანიამ“ 4:2 მოიგო და მასპინძელთა ფანებმა გლადბახელთა ბრაზილიელი კაჰე შეურაცხყვეს, ხოლო სტუმრებმა საპასუხოდ — ალემანიელთა მალელი სიჩონე.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა ამ სეზონში, პირველი კი როსტოკში მოხდა, როცა „ჰანზას“ ქომაგებმა „შალკესთან“ სათასო მატჩში ჯერალდ ასამოას კანის ფერს დასცინეს. „ჰანზა“ 20 ათასი ევროთი დააჯარიმეს.

ირაკლი ნინიძე

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტერი

A ჯგუფი

ნაწყენი დირიჟორი და ბარსას აჩრდილი

ვერდერი 1:1 ბარსელონა

1:0 პუიოლი (56ს.ჯ.), 1:1 მესი (89)

ვერდერი: ვიზე, ბრიცი, მერტესაკერი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, ბოროვსკი, დიეგო, კლოზე (კლასნიჩი 90), ჰუნტი (ოვომოიელა 90)

მწვრთნელი: თომას შაფი

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ტურამი, სილვინიო (ძამბროტა 83), ინიესტა, მოტა, დეკუ, ჟიული (მესი 65), რონალდინიო, ეტოო (გუდიონსენი 65)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ფრინგსი, ნალდო, ბაუმანი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

37 000 მაყურებელი

„ვეზერშტადიონზე“ „ბარსელონას“ აჩრდილი თამაშობდაო — დაწერეს ბერმენული მატჩის შემდეგ დაზაფრულმა კატალონიურმა გაზეთებმა. ფრანკ რაიკარდის გუნდმა მართლაც სუსტად იბურთავა და „ვერდერის“ მოიერიშეთა უზუსტობა რომ არა, შეიძლება, სამხრეთელებს თამაში დიდი ანგარიშითაც წაეგოთ. პუიოლის ავტოგოლის შემდეგ დაბნეული „ბარსა“ არგენტინელმა ლეო მესიმ გადაარჩინა. სამუელ ეტოომ კი მძიმე ტრავმა მიიღო და დიდ ფეხბურთთან დამშვიდობება 2-3 თვით მოუწევს.

„ბარსელონა“ მარცხისგან მესიმ იხსნა

შეხვედრა გერმანელთა შეტევებით დაიწყო. „ვერდერს“ წინა მატჩში „ჩელსისთან“ განცდილი მარცხის ჩამორეცხვა სურდა და სამრად გულანთებულ „ბარსას“ აოხრება უკვე პირველ ტაიმში შეეძლო. ტურამმა თავისი გუნდი კლოზეს უეჭველი გოლისგან გადაარჩინა. გარდა ამ ეპიზოდისა, გერმანული საფრთხე ვალდესის კართან სხვაც მრავალი იყო და კატალონიელმა ფანებმაც ინერვიულეს. დეკუ და რონალდინიო რიგიანად ორი პასის გადაბმას ვერ ახერხებდნენ, დაცვაც პარალიზებული გახლდათ და საერთოდ „აჩრდილი“ იმ დღეს „ვერდერის“ ნებას ემორჩილებოდა...

შესვენების შემდეგ შაფის ბიჭებს ნანატრი სიხარული ეწვიათ. 56-ე წუთზე ჰუნტის ჩაწოდებული ბურთი კარლეს პუიოლმა საკუთარ კაში ჩაჭრა. კლოზეს კი იქამდეც შეეძლო გატანა — ორიოდე წუთით ადრე კუთხურიდან ჩამოწოდებულს თავური ვერ გაუსწორა.

წესით, „ბარსა“ გოლს უნდა გამოეფხიზლებინა, თუმცა პირიქით მოხდა — „მუსიკოსებმა“ გააფთრებით შეუტიეს და ვალდესის კარის მრავალჯერ დასალაშქრად სიზუსტე დააკლდათ. სრულიად უვნებელ სიტუაციაში ეტოომ ტრავმა მიიღო და რაიკარდმაც მის ნაცვლად მოედანზე გუდიონსენი შეიყვანა. სამუელ ეტოო მინიმუმ ორი თვე ვერ ითამაშებს, რაც, ცხადია, „ბარსელონასთვის“ დიდი დანაკლისია.

ასე გათანგული „ბარსა“ თითქოს მხოლოდ სასწაულს უნდა გადაერჩინა და კატალონიური სასწაულიც ლეო მესი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ფორვარდმა საპასუხო გოლი 89-ე წუთზე დეკუს პასით შეაგდო. იქამდე კი ტიმ ვიზეს და მის მცველებს ლაზათიანი ფინტებით შიში აჭამა — მესი ყოველთვის მესია და თავისებური ყველა მატჩში უნდა გაკეთოს...

გულგატეხილი ჩანდა მატჩის შემდეგ „მუსიკოსთა“ „დირიჟორი“ თომას შაფი: „ასეთ უსამართლო შედეგს არასოდეს მოვსწრებივარ. ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო“. ფრანკ რაიკარდმა კი ცალყბად აღნიშნა, „ბარსელონას“ ყველა მატჩში ბრწყინვალე ბურთაობას ნუ მოვთხოვთო.

ლევსკი 1:3 ჩელსი

0:1, 0:2, 0:3 დროგბა (39, 52, 68), 1:3 ოგნიანოვი (89)

ლევსკი: გ. პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ტელკისკი (გ. ივანოვი 67), ბორიმიროვი (კოპრივაროვი 79), ბარდონი (ოგნიანოვი 71), ერომოიგბე, ს. ანგელოვი, იოვოვი

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, მიკელი (კალუ 63), ქსიენი, ბალაკი, ლამპარდი, შევჩენკო (რაიტ-ფილიპსი 83), დროგბა (რობენი 70)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: მიკელი, ანგელოვი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

42 226 მაყურებელი

მაურინიუს გუნდმა და, კერძოდ, დიდიე დროგბამ სოფიაში „ლევსკი“ შეჭამეს და **A** ჯგუფს სათავეში მოექცნენ. ბულგარული კლუბი საბრალო დღეშია, ლიგის პირველ ტურში „ლევსკიმ“ ჯგუფის ერთ ფავორიტთან „ბარსასთან“ 0:5 წააგო, ოთხშაბათს კი საკუთარ არენაზე მეორესთან 1:3 ამოყირავდა. ბრწყინვალედ ითამაშა კოტდივუარელმა დროგბამ, რომელმაც სლავებს სამი ლამაზი გოლი შეუგდო.

სოფიაში თავიდანვე „ჩელსი“ უტევდა, თუმცა კონტრიერიშებზე ბულგარელებმაც გაიბრძოლეს. იოვოვმა ჩეხის კარის მისამართით მე-9 და 32-ე წუთებზე სახიფათოდ გაისროლა.

დროგბამ მასპინძელთა განადგურება 39-ე წუთზე, მეკარე პეტკოვის შეცდომის მერე დაიწყო. პეტკოვმა კოტდივუარელის ვერც ორი მომდევნო ვიზიტი განაღმა და „ჩელსის“ ფორვარდმაც თავის ანგარიშზე ჰეთ თრიკი ჩაიწერა. დიდიე დროგბა შესანიშნავ ფორმაშია, პრემიერლიგის წინა მატჩებშიც გაიტანა „ლივერპულთან“ და რთულ სალიგო ჯგუფში მოხვედრილ ბულგარელებსაც ითოქმის ანდერძი აუგო. სოფიის მკვიდრნი ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ჯგუფიდან გასვლაზე მხოლოდ იოცნებებენ. მასპინძელთაგან ერთადერთი საპასუხო გოლი ოგნიანოვმა თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გაიტანა.

ლადო ხომერიკი

ჩელსი	2	2	0	0	5:1	6
ბარსელონა	2	1	1	0	6:1	4
ვერდერი	2	0	1	1	1:3	1
ლევსკი	2	0	0	2	1:8	0

B ჯგუფი

ბაიერნმა თვრამეტი წელი გაჭრა

ინტერი 0:2 ბაიერნი

0:1 პიზარო (81), 0:2 პოდოლსკი (90)

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო, ძანეტი, დაკური, სტანკოვიჩი (სოლარი 77), ფიგუ (მარიანო გონსალესი 67), კრესპო (ადრიანო 77), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 70), ოტლი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 82), კ. პიზარო (პოდოლსკი 89)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ოტლი, სანიოლი, იბრაჰიმოვიჩი, მატერაცი, იბრაჰიმოვიჩი, შოლი

გაძევება: იბრაჰიმოვიჩი (58), გროსო (84)

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

42 000 მაყურებელი

მილანის „ინტერმა“, ვერაფერი გააწყო მიუნხენელებთან და სრულიად დამსახურებულად წააგო. „ნეროაძურის“ კაპიტან ძანეტის თავისი მე-500 მატჩი ჩამწარდა, ხოლო პრესა ისევ რობერტო მანჩინის გაშვებაზე ალაპარაკდა.

„ინტერი“ ძალიან მძიმედ თამაშობდა და მომენტებიც ცოტა ჰქონდა. მილანელებს ყველაზე რეალური შანსი მე-12 წუთზე მიეცათ, როდესაც დეიან სტანკოვიჩის კარგი პასი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ცუდად დაამუშავა და მას ოლივერ კანმა დაასწრო. „ბაიერნი“ კი უკეთ გამოიყურებოდა, ჭკვიანურად ირჯებოდა და ალაგ-ალაგ მწვავედაც უტევდა. მასპინძელთა მეკარემ ჟულიო სეზარმა რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი, როი მაკაის დარტყმულის საოცარი რეაქციით მოგერიება გახლდათ.

58-ე წუთზე იბრაჰიმოვიჩმა ძალიან უხეშად ითამაშა ბასტიან შვაინშტაიგერის წინააღმდეგ, რის გამოც მეორე ყვითელი და ავტომატურად წითელი ბარათი მიიღო. მალევე, მომენტი ათი კაცით დარჩენილმა „ინტერმა“ შექმნა, მაგრამ მიზანს ვერც ძანეტის დარტყმამ უწია და ვერც ერნან კრესპოსამ. ამის მერე „ბაიერნი“ მეტოქეს მიაწვია და თავისას მიაღწია კიდეც.

კლაუდიო პიზარომ 81-ზე ვილი სანიოლის პასი შეირგო. აღსანიშნავია, რომ პერუელმა მანამდე რამდენიმე მომენტი გააცუდა. მალევე გროსომ სანიოლს იდაყვი ჩაარტყა და „ინტერი“ 9 კაცით დარჩა. დამატებულ წუთებზე კი ივან კორდობას უხეში შეცდომით, შეცვლაზე შესულმა ლუკაშ პოდოლსკიმ ისარგებლა და შეხვედრას წერტილი დაუსვა. ვთქვათ ისიც, რომ „ბაიერნს“ იტალიაში 18 წელი არ მოეგო.

ლუკაშ პოდოლსკი ჟულიო სეზარს გაექცა და მეორე გოლი გაიტანა

„ეს განსაკუთრებული გამარჯვებაა. სტატისტიკას დიდ მნიშვნელობას არასდროს ვანიჭებ, მაგრამ იტალიაში კარგა ხანია, არ მოგვეგო და ნავსი ძლიერ გუნდთან გავტეხეთ. ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ“ — განაცხადა ფელიქს მაგათმა.

რობერტო მანჩინი: „წინ კიდევ ოთხი მატჩია და მეორე ადგილზე გასასვლელად საკმარისი შანსი გვაქვს. ასე რომ, პანიკა საჭირო არ არის. „ბაიერნი“ ისედაც ძლიერია და როცა 30 წუთი ათი კაცით გიწევს თამაში, რთულია, თუმც მოგების შანსი იბრაჰიმოვიჩის გაძევების მერეც გვქონდა. ანგარიში 0:2 რეალურ სურათს არ ასახავს. მიუნხენელებს ასეთი უპირატესობა არ ჰქონიათ. ახლა მთავარია, შეცდომები გავაანილიზოთ და გამოვასწოროთ“.

სპარტაკი 1:1 სპორტინგი

1:0 ბოიარინცევი (5), 1:1 ნანი (59)

სპარტაკი: კოვალევსკი, ჟირანეკი, ფედერი, შტრანცლი, შიშკინი, ბისტროვი, რ. კოვაჩი, ტიტოვი, მოცარტი (რებკო 80), ბოიარინცევი, პავლიუჩენკო (ოვუსუ-ბეიე 80)

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

სპორტინგი: რიკარდუ, მიგელ გარსია (ბარბოსა 46), ტონელი (პარედესი 58), ანდერსონ პოლგა, მ. კანერა, მუტინიუ, ველოზო, ნანი, ტელო, დიალო (ჟოაუ ალვეში 82), ლიდსონი

მწვრთნელი: პაულუ ბენტუ

გაფრთხილება: ტონელი, ველოზო, შტრანცლი

მსაჯი: მარტინ პანსონი (შვედეთი)

40 000 მაყურებელი

მოსკოველებს ამ მატჩში დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ რომ ვერ მოიგეს, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან უამრავი მომენტი ვერ გამოიყენეს. ლისაბონელებმა კი თავიანთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და რუსეთიდან ქულა წაიღეს.

„სპარტაკის“ მიერ გაცუდებული მრავალი მომენტის აღწერას არ მოვყვებით, გოლი კი ორივე გუნდს ლამაზი გამოუვიდა. დენის ბოიარინცევმა საჯარიმოს მისადგომებიდან ჩინებულად დაარტყა და ბურთი ცხრიანში გაახვია. სტუმართა გოლი კი მრავალსვლიან ბრწყინვალე კომბინაციას მოჰყვა. საბოლოდ რობერტო ნანი მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, მეკარეს გასცდა და მახვილი კუთხიდან ოსტატურად და ლამაზად ჩაახვია ბურთი კარში.

„ძალიან საწყენია, როცა ასეთ მატჩში ქულებს კარგავ. სრულ უპირატესობას ვფლობდით და ბიჭებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მომენტები რომ ვერ გამოვიყენეთ, ყველაფერი ამის ბრალია. ეს აღარ უნდა განმეორდეს. შემდეგი შეხვედრა „ინტერთან“ „სან სიროზე“ გვაქვს და 3 ქულისთვის ვიბრძოლებთ. მოსაგებად თამაში „სპარტაკის“ ხასიათშია“ — აღნიშნა მოსკოველთა თავკაცმა ვლადიმირ ფედოტოვმა.

„სპორტინგის“ მწვრთნელი პაულუ ბენტუ: „ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არ წაგვეგო და იგი შევასრულეთ კიდეც. დებიუტში „სპარტაკი“ დომინირებდა, მაგრამ ნელ-ნელა თამაში გამოვასწორეთ. ერთი სიტყვით, ამ ძლიერი ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ“.

გიორგი კაკაბაძე

ბაიერნი	2	2	0	0	6:0	6
სპორტინგი	2	1	1	0	2:1	4
სპარტაკი	2	0	1	1	1:5	1
ინტერი	2	0	0	2	0:3	0

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური

C ჯგუფი

აბა, ენა გამოყავი!

გერეტსმა გალას დანით პირი ვერ გაუხსნა

ლივერპული 3:2 გალათასარაი
1:0 კრაუჩი (9), 2:0 ლუის გარსია (14), 3:0 კრაუჩი (52), 3:1, 3:2 უმით კარანი (59, 65)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, ფ. აურელიო, პენანტი (სისოკო 78), ჯერარდი, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, კუიტი (მარკ გონსალესი 66), კრაუჩი (ბელამი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გალათასარაი: მონდრაგონი, ჯიჰანი (უმით კარანი 46), რ. სონგი, ტომაში, ორჰანი, საბრი, აიჰანი, ილიჩი, მეჰმეთი (ჰასან შაში 46), თურანი (მარსელო 86), ჰაქან შუქური
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: აიჰანი, ხაბი ალონსო, ჰასან შაში, ფინანი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
41 976 მაყურებელი

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ მატჩში „ლივერპულს" გოლი არ გაუტანა და მშრალი სერია სადღაც ხომ უნდა შეწყვეტილიყო? ხომ უნდა გახსენებოდა რაფაელ ბენიტესს, რომ გუნდში ჰყავს ფორვარდი პიტერ კრაუჩი, რომელიც ამ სეზონის ბოლო ხუთ მატჩში სათადარიგოთა სკამს ამძიმებდა? ჰოდა, ბენიტესმა კრაუჩი გაიხსენა, „ლივერპულმა" კი გოლის გემო.

მაღალია, მოუქნელია, მაგის ადგილი **NBA**-შია, ფეხბურთში კი არაო, ამბობენ ხოლმე კრაუჩზე, მაგრამ მაკრატელათი ისეთი გაუტანა ფარიდ მონდრაგონს, რომ უგო სანჩესს და მანუელ ნეგრეტესაც შეშურდებოდათ. ეს მოხდა მეორე ტაიმის დასაწყისში და ანგარიში 3:0 გახდა, რამაც მასპინძლებზე ბანგივით, ხოლო სტუმრებზე ნემსის ჩხვლეტასავით იმოქმედა. „გალათასარაი", თითქოს მესამე გოლს ელოდაო, სწორედ ამის მერე ათამაშდა. შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულ უმით კარანს ცხრა წუთი დასჭირდა დუბლის შესასრულებლად და აქედან დაიწყო „ლივერპულის" ნერვიულობა. თამაშის მიწურულს ჰაქან შუქურმა ორი კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა და შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს კანტალეხოს სასტვენმა ბედზე მოუსწრო.

„ახლოს ვიყავით ფრესთან, მაგრამ იღბალმა გვიგანა. ბოლო 15 წუთის განმავლობაში კარგად ვითამაშეთ და საწყენია, რომ ქულა ვერ ავიღეთ. უფრო მეტად კი იმ ფეხბურთელების შეცდომები მეწყინა, რომლებსაც უდიდესი გამოცდილება აქვთ. პირველ ტაიმში დაგვავიწყდა, როგორ უნდა გვეთამაშა ფეხბურთი, რადგან მეტოქემ ყოველმხრივ გვაჯობა. „ლივერპულსა" და „გალათასარაის" შორის განსხვავება დღეს ის იყო, რომ მასპინძლები მოედანზე ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ჩემი ფეხბურთელები კი რატომღაც არ საუბრობდნენ და ერთმანეთს არ ეძახდნენ" — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა.

რაფაელ ბენიტესი: „3:0-ზე ვიფიქრე, რომ საქმე მომთავრებულია. მეოთხეც რომ გაგვეტანა, ალბათ, სანერვიულო არაფერი გვექნებოდა, მაგრამ ვერ მოვასწარით, მათ კი ორი ფორვარდით დაიწყეს მეორე ტაიმი და ამიტომაც გამოასწორეს თამაში. ზოგჯერ, დიდი სხვაობით რომ იგებ, დუნდები და ყურადღება გეფანტება. ჩემებსაც ეს დაემართათ. როგორც მწვრთნელს, ცხადია არ მომეწონა, რომ 3:0-ის შემდეგ ორი გავუშვით. რაც შეეხება კრაუჩის მაკრატელას, ამ გოლის შემდეგ ალბათ არავის ეეჭვება, რომ ის დიდებული ფორვარდია".

პიტერ კრაუჩმა დუბლი მიითვალა

ბორდო 0:1 პსვ ეინდჰოვენი
0:1 ვაირინენი (65)
ბორდო: რამე, ჟუმალი (ლასლანდი 89), ენრიკე ენაკარხირე, ჟურიეტი (დალმა 74), ფობერი, ფერნანდო, მიკუ (შამახი 46), მავუბა, ვენდელი, დარშევილი
მწვრთნელი: რიკარდო გომეში
პსვ ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი, ალექსი, სალსიდო, ლამეი, ე. მენდესი, სიმონსი, აფელაი (აისატი 72), ვაირინენი (ც. ადო 79), კონე, ტარდელი (ბეერენსი 84)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: კრომკამპი, სალსიდო, ვაირინენი
გაძევება: ლამეი (85)
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)
23 587 მაყურებელი

უფერულ მატჩში სტუმრებმა მოიგეს ფინელი მიკა ვაირინენის გოლით, რომელიც მისი და არუნა კონეს გათამაშებულ კედელს მოჰყვა. „ვიცოდი, რომ „ბორდოსთვის" სივრცე არ უნდა დაგვეთმო და ჩემი დავალება ბიჭებმა კარგად შეასრულეს — თქვა ნამატჩევს პსვ-ს მწვრთნელმა რონალდ კუმანმა — ეს უკვე წინ ნაბიჯია. სტუმრად მოპოვებული სამი ქულა კი ყოველთვის უფრო ძვირფასია".

„ბორდოს" თავკაცი რიკარდო გომეში: „პსვ დაცვაში საუცხოოდ თამაშობდა და ვერაფერი მოვუხერხეთ, თუმც ცდა არ დაგვიკლია".

ორივე გუნდმა პირველ ტურში უგოლო ფრე ითამაშა და ბორდოშიც ისე დაიწყო მატჩი, რომ მეტოქეები აშკარად დაცვაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე შეტევაზე.

მეთექვსმეტე წუთზე არუნა კონეს შეეძლო გატანა, მაგრამ ექვსიოდ მეტრიდან მისი დარტყმული ულრიხ რამემ მოიგერია. სულ ეს იყო, რაც პირველ ტაიმში შექმნეს სტუმრებმა, ხოლო მასპინძელთა ლიდერი იოან მიკუ სადღაც ჩაიკარგა. ამიტომაც გამოცვალა იგი რიკარდომ შესვენებისას და მის მაგივრად მარუან შამახი შეუშვა. მასპინძლებს ეს ცვლილებაც არ წაადგათ დიდად. კონეს გოლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, 81-ე წუთზე ჰქონდათ რეალური მომენტი, რომელიც ჟუმალიმ ვერ გამოიყენა. ბოლოსკენ კი პსვ-ს მიხაელ ლამეი გაუძევეს, მაგრამ „ბორდომ" კაცმეტობითაც ვერ ისარგებლა.

ირაკლი ნინიძე

ლივერპული	2	1	1	0	3:2	4
პსვ ეინდჰოვენი	2	1	1	0	1:0	4
გალათასარაი	2	0	1	1	2:3	1
ბორდო	2	0	1	1	0:1	1

D ჯგუფი

ფრანჩესკო ტოტის ტორტი პენალტია

ვალენსია 2:1 რომა
1:0 ანგულო (12), 1:1 ტოტი (19პ), 2:1 ვილია (29)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო, ალბელდა, ედუ, ვისენტე (გავილანი 90), ვილია (სილვა 72), მორიენტესი (რეგეირო 87)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
რომა: დონი, პანუჩი, ფერარი, კივუ, ტონეტო, კასეტი (ოკაკა-ჩუკა 65), დ. პიზარო, დე როსი, პეროტა, აკვილანი (მონტელა 46), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: აიალა, ალბელდა, ფერარი, დე როსი, პიზარო
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
41 000 მაყურებელი

მიგელ ანგულოსა და დავიდ ვილიას ეფექტურმა დარტყმებმა „ვალენსიას" „რომა" დაამარცხებინა. მასპინძლები ვერ გატეხა ფრანჩესკო ტოტის პენალტმა, რომლითაც მათი პირველი გოლი გაბათილდა, და შტურმმა, რომელიც რომაელებმა მეორე ტაიმში მოაწყეს — პირველი ტაიმში გატანილი ხსენებული ორი გოლით მათ საქმე ბოლომდე მიიყვანეს. სხვათა შორის, „რომას" კაპიტანი ამ დღეს 30 წლისა გახდა.

სტუმართა თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ 4-3-2-1 განლაგება ირჩია, რითაც მოედნის შუაში დააგროვა ბევრი ფეხბურთელი. თუ შეხვედრის პირველი წუთებით ვიმსჯელებთ, ასეთი ტაქტიკა გამართლებული იყო, მაგრამ გეგმა და ანგარიში ერთია, სინამდვილე მეორე — მასპინძლებმა გოლი გაიტანეს. გოლი ვისენტე როდრიგესის დიაგონალურ პასს მოჰყვა. ბურთი ვილიასთვის იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ვილიამ მას ფეხი ვერ მოარტყა, თუმცა ანგულოს მოუვიდა და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

დავიდ ვილიამ (შუაში) თავისი გოლი „რომასაც" გაუტანა

რომაელებმა მალე გაათანაბრეს. ემილიანო მორეტიმ უწყინარ სიტუაციაში დაკარგა ბურთი და იძულებული შეიქნა მდგომარეობის გამოსასწორებლად წესი დაერღვია. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ტოტიმ შეაგდო.

პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა მაინც მოასწრეს კიდევ ერთი გოლის შეგდება — მორეტიმ თავისი დანაშაული, მარცხნიდან სპრინტერული გარბენით გამოასწორა და ბურთი ვილიას გადააწოდა. თავდამსხმელმა კრისტიან კივუს წამიერი ყოყმანით ისარგებლა და ერთი შეხებით ბურთი „ჯალოროსის" კარში გაგზავნა.

მეორე ტაიმში მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, თუმცა განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გახლდათ ის ეპიზოდი, როდესაც მატეო ფერარი ჯერ ვილიას დარტყმულს გადაეფარა, შემდეგ კი ვისენტეს სახიფათო ჩაწოდებული ჩაჭრა.

11091	პართი-დანდი იუნაიტედი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11093	მიზერუელი-კილმარნოკი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11094	სტ.მირენი-პიტერხიანი	4.60	10.00	20.00	5.30	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11095	რეინჯერსი-აბერდინი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11096	ფოლკირკი-სელტიკი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.60
11113	დორტმუნდი-პანოვერი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11115	ინტერატტი-ჰამბურგი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11118	აღლემანია-ბოხუმი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11120	ნიურნბერგი-მაინცი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11121	ვერდერი-მიუნხენგლადბახი	2.00	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11122	არმინია-კოტბუსი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11124	ჰერტა-შტუტგარტი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11125	ლევერკუზენი-შალკე	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11176	ატალანტა-რეჯინა	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11178	ტორინო-ლაციო	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11179	უდინეზე-ასკოლი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11180	კალიარი-ინტერი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.30
11182	ფიორენტინა-კატანია	1.85	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11183	მესინა-ლიეორნი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11184	მილანი-სიენა	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00
11186	რომა-ემპოლი	1.85	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11187	ხამბორია-პარმა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11188	კიეტი-პალერმი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11220	დეპორტივო-ხოსიედადი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11222	უელვა-ბეტისი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11223	რასინგი-სელტა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11225	რეალი-ატლეტიკო	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11227	სარაგოსა-ლევანტე	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11229	ესპანიოლი-ოსასუნა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11230	მალიორკა-ვალიადოლიდი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11231	სევილია-ხეტაფე	2.10	10.00	25.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11233	ვალენსია-ტარაგონა	1.60	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11235	ბილბაო-ბარსელონა	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.70
11288	სიშო-ლიონი	8.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.10
11290	ვალენსიენი-ბორდო	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11291	სედანი-რენი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11292	მონაკო-ლე მანი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11294	ლილი-ნიცა	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11295	ლორიანი-ტრუა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11296	ნანსი-ლანსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11297	მარსელი-ტულუზი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11298	ოსერი-ნანტი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11299	სტ-ეტიენი-აჭ	3.50	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		მეტ.	ნაკ.
12003	ბოლტონი-ლივერპული	1.60	2.00
12004	ჩარლტონი-არსენალი	1.90	1.70
12006	ევერტონი-სიტი	1.60	2.00
12008	ჩელსი-ასტონ ვილა	1.70	1.90
12009	შეფილდი-მიდლსბრო	1.60	2.00
12010	ვესტ ჰემი-რედინგი	1.70	1.90
12011	ბლექბერნი-უიგანი	1.60	2.00
12012	მანჩესტერი-ნიუკასლი	1.90	1.70
12014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.60	2.00
12015	უოტფორდი-ფულჰემი	1.60	2.00
12090	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.70	1.90
12091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	2.00	1.60
12093	მაზერველი-კილმარნოკი	1.70	1.90
12094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	1.70	1.90
12095	რეინჯერსი-აბერდინი	2.00	1.60
12096	ფოლკირკი-სელტიკი	2.00	1.60
12113	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.90	1.70
12115	აინტრახტი-ჰამბურგი	1.70	1.90
12116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	1.70	1.90
12118	ალემანია-ბოხუმი	1.90	1.70
12120	ნიურნბერგი-მაინცი	1.90	1.70
12121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	2.00	1.60
12122	არმინია-კოტბუსი	1.70	1.90
12124	ჰერტა-შტუტგარტი	1.70	1.90
12125	ლევერკუზენი-შალკე	1.90	1.70
12176	ატალანტა-რეჯინა	1.70	1.90
12178	ტორინო-ლაციო	1.70	1.90
12179	უდინეზე-ასკოლი	1.70	1.90
12180	კალიარი-ინტერი	1.90	1.70
12182	ფიორენტინა-კატანია	1.90	1.70
12183	მესინა-ლივორნო	1.60	2.00
12184	მილანი-სიენა	1.90	1.60
12186	რომა-ემპოლი	2.00	1.60
12187	სამპდორია-პარმა	1.70	1.90
12188	კიევო-პალერმო	1.70	1.90
12220	დეპორტივო-სოსიედადი	1.70	1.90
12222	უელვა-ბეტისი	1.60	2.00
12223	რასინგი-სელტა	1.70	1.90
12225	რეალი-ატლეტიკო	1.90	1.70
12227	სარაგოსა-ლევანტე	1.70	1.90
12229	ესპანიოლი-ოსასუნა	1.70	1.90
12230	მალიორკა-ვილარეალი	1.60	2.00
12231	სევილია-ხეტაფე	1.70	1.90
12233	ვალენსია-ტარაგონა	1.90	1.70
12235	ბილბაო-ბარსელონა	1.70	1.90
12288	სოშო-ლიონი	1.70	1.90
12290	ვალენსიენი-ბორდო	1.60	2.00
12291	სედანი-რენი	1.60	2.00
12292	მონაკო-ლე მანი	1.60	2.00
12294	ლილი-ნიცა	1.60	2.00
12295	ლორიანი-ტრუა	1.60	2.00
12296	ნანსი-ლანსი	1.55	2.10
12297	მარსელი-ტულუზა	1.60	2.00
12298	ოსერი-ნანტი	1.60	2.00
12299	სტ.ეტიენი-პსჟ	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13003.	ბოლტონი-ლივერპული	1.70	1.90
13004	ჩარლტონი-არსენალი	1.70	1.90
13006	ევერტონი-სიტი	1.70	1.90
13008	ჩელსი-ასტონ ვილა	1.90	1.70
13009	შეფილდი-მიდლსბრო	1.70	1.90
13010	ვესტ ჰემი-რედინგი	1.70	1.90
13011	ბლექბერნი-უიგანი	1.70	1.90
13012	მანჩესტერი-ნიუკასლი	1.70	1.90
13014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.90	1.70
13015	უოტფორდი-ფულჰემი	1.70	1.90
13090	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.70	1.90
13091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	1.90	1.70
13093	მაზერველი-კილმარნოკი	1.70	1.90
13094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	1.70	1.90
13095	რეინჯერსი-აბერდინი	1.90	1.70
13096	ფოლკირკი-სელტიკი	1.90	1.70
13113	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.70	1.90
13115	აინტრახტი-ჰამბურგი	1.70	1.90
13116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	1.70	1.90
13118	ალემანია-ბოხუმი	1.70	1.90
13120	ნიურნბერგი-მაინცი	1.70	1.90
13121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.70	1.90
13122	არმინია-კოტბუსი	1.70	1.90
13124	ჰერტა-შტუტგარტი	1.60	2.00
13125	ლევერკუზენი-შალკე	1.60	2.00
13176	ატალანტა-რეჯინა	1.70	1.90
13178	ტორინო-ლაციო	2.00	1.60
13179	უდინეზე-ასკოლი	1.90	1.70
13180	კალიარი-ინტერი	1.90	1.70
13182	ფიორენტინა-კატანია	1.90	1.70
13183	მესინა-ლივორნო	1.90	1.70
13184	მილანი-სიენა	1.70	1.90
13186	რომა-ემპოლი	1.70	1.90
13187	სამპდორია-პარმა	1.90	1.70
13188	კიევო-პალერმო	1.90	1.70
13220	დეპორტივო-სოსიედადი	1.70	1.90
13222	უელვა-ბეტისი	1.70	1.90
13223	რასინგი-სელტა	1.70	1.90
13225	რეალი-ატლეტიკო	1.70	1.90
13227	სარაგოსა-ლევანტე	1.70	1.90
13229	ესპანიოლი-ოსასუნა	1.70	1.90
13230	მალიორკა-ვილარეალი	1.70	1.90
13231	სევილია-ხეტაფე	1.70	1.90
13233	ვალენსია-ტარაგონა	1.90	1.70
13235	ბილბაო-ბარსელონა	1.70	1.90
13288	სოშო-ლიონი	1.90	1.70
13290	ვალენსიენი-ბორდო	1.90	1.70
13291	სედანი-რენი	1.70	1.90
13292	მონაკო-ლე მანი	1.90	1.70
13294	ლილი-ნიცა	2.00	1.60
13295	ლორიანი-ტრუა	1.90	1.70
13296	ნანსი-ლანსი	1.70	1.90
13297	მარსელი-ტულუზა	1.90	1.70
13298	ოსერი-ნანტი	1.90	1.70
13299	სტ.ეტიენი-პსჟ	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნებულად ჩაითვლება)

14003	ბოლტონი-ლივერპული	2.20	[illegible]
14004	ჩარლტონი-არსენალი	2.50	[illegible]
14006	ევერტონი-სიტი	1.60	2.30
14008	ჩელსი-ასტონ ვილა	1.06	2.90
14009	შეფილდი-მიდლსბრო	1.90	1.90
14010	ვესტ ჰემი-რედინგი	1.65	2.20
14011	ბლექბერნი-უიგანი	1.60	2.30
14012	მანჩესტერი-ნიუკასლი	1.20	2.60
14014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.70	2.20
14015	უოტფორდი-ფულჰემი	1.80	1.90
14090	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.70	2.20
14091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	1.08	2.80
14093	მაზერველი-კილმარნოკი	2.00	1.80
14094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	2.10	1.75
14095	რეინჯერსი-აბერდინი	1.08	2.80
14096	ფოლკირკი-სელტიკი	2.80	1.07
14113	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.30	2.50
14115	აინტრახტი-ჰამბურგი	1.90	1.90
14116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	2.50	1.30
14118	ალემანია-ბოხუმი	1.65	2.20
14120	ნიურნბერგი-მაინცი	1.30	2.50
14121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.20	2.60
14122	არმინია-კოტბუსი	1.70	2.20
14124	ჰერტა-შტუტგარტი	1.75	2.10
14125	ლევერკუზენი-შალკე	1.85	1.95
14176	ატალანტა-რეჯინა	1.70	2.20
14178	ტორინო-ლაციო	1.90	1.90
14179	უდინეზე-ასკოლი	1.30	2.50
14180	კალიარი-ინტერი	2.40	1.40
14182	ფიორენტინა-კატანია	1.20	2.60
14183	მესინა-ლივორნო	1.75	2.10
14184	მილანი-სიენა	1.03	2.80
14186	რომა-ემპოლი	1.20	2.60
14187	სამპდორია-პარმა	1.60	2.20
14188	კიევო-პალერმო	1.80	1.80
14220	დეპორტივო-სოსიედადი	1.45	2.30
14222	უელვა-ბეტისი	1.90	1.90
14223	რასინგი-სელტა	1.90	1.90
14225	რეალი-ატლეტიკო	1.60	2.30
14227	სარაგოსა-ლევანტე	1.45	2.40
14229	ესპანიოლი-ოსასუნა	1.80	2.00
14230	მალიორკა-ვილარეალი	1.90	1.90
14231	სევილია-ხეტაფე	1.30	2.50
14233	ვალენსია-ტარაგონა	1.08	2.90
14235	ბილბაო-ბარსელონა	2.60	1.20
14288	სოშო-ლიონი	2.50	1.30
14290	ვალენსიენი-ბორდო	1.90	1.70
14291	სედანი-რენი	1.80	2.00
14292	მონაკო-ლე მანი	1.65	2.10
14294	ლილი-ნიცა	1.30	2.50
14295	ლორიანი-ტრუა	1.65	2.10
14296	ნანსი-ლანსი	1.80	1.90
14297	მარსელი-ტულუზა	1.40	2.40
14298	ოსერი-ნანტი	1.65	2.10
14299	სტ.ეტიენი-პსჟ	1.80	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15003	ბოლტონი-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15004	ჩარლტონი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15006	ევერტონი-სიტი	3.00	2.80	2.00
15008	ჩელსი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15009	შეფილდი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15010	ვესტ ჰემი-რედინგი	3.00	2.80	2.00
15011	ბლექბერნი-უიგანი	3.00	2.80	2.00
15012	მანჩესტერი-ნიუკასლი	3.00	2.80	2.00
15014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15015	უოტფორდი-ფულჰემი	3.00	2.80	2.00
15090	ინვერნესი-დანფერმლაინი	3.00	2.80	2.00
15091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	3.00	2.80	2.00
15093	მაზერველი-კილმარნოკი	3.00	2.80	2.00
15094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	3.00	2.80	2.00
15095	რეინჯერსი-აბერდინი	3.00	2.80	2.00
15096	ფოლკირკი-სელტიკი	3.00	2.80	2.00
15113	დორტმუნდი-ჰანოვერი	3.00	2.80	2.00
15115	აინტრახტი-ჰამბურგი	3.00	2.80	2.00
15116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15118	ალემანია-ბოხუმი	3.00	2.80	2.00
15120	ნიურნბერგი-მაინცი	3.00	2.80	2.00
15121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	3.00	2.80	2.00
15122	არმინია-კოტბუსი	3.00	2.80	2.00
15124	ჰერტა-შტუტგარტი	3.00	2.80	2.00
15125	ლევერკუზენი-შალკე	3.00	2.80	2.00
15176	ატალანტა-რეჯინა	3.00	2.80	2.00
15178	ტორინო-ლაციო	3.00	2.80	2.00
15179	უდინეზე-ასკოლი	3.00	2.80	2.00
15180	კალიარი-ინტერი	3.00	2.80	2.00
15182	ფიორენტინა-კატანია	3.00	2.80	2.00
15183	მესინა-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15184	მილანი-სიენა	3.00	2.80	2.00
15186	რომა-ემპოლი	3.00	2.80	2.00
15187	სამპდორია-პარმა	3.00	2.80	2.00
15188	კიევო-პალერმო	3.00	2.80	2.00
15220	დეპორტივო-სოსიედადი	3.00	2.80	2.00
15222	უელვა-ბეტისი	3.00	2.80	2.00
15223	რასინგი-სელტა	3.00	2.80	2.00
15225	რეალი-ატლეტიკო	3.00	2.80	2.00
15227	სარაგოსა-ლევანტე	3.00	2.80	2.00
15229	ესპანიოლი-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15230	მალიორკა-ვილარეალი	3.00	2.80	2.00
15231	სევილია-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15233	ვალენსია-ტარაგონა	3.00	2.80	2.00
15235	ბილბაო-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15288	სოშო-ლიონი	3.00	2.80	2.00
15290	ვალენსიენი-ბორდო	3.00	2.80	2.00
15291	სედანი-რენი	3.00	2.80	2.00
15292	მონაკო-ლე მანი	3.00	2.80	2.00
15294	ლილი-ნიცა	3.00	2.80	2.00
15295	ლორიანი-ტრუა	3.00	2.80	2.00
15296	ნანსი-ლანსი	3.00	2.80	2.00
15297	მარსელი-ტულუზა	3.00	2.80	2.00
15298	ოსერი-ნანტი	3.00	2.80	2.00
15299	სტ.ეტიენი-პსჟ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16003	ბოლტონი-ლივერპული	2.20	1.45
16004	ჩარლტონი-არსენალი	3.30	1.20
16006	ევერტონი-სიტი	1.30	2.60
16008	ჩელსი-ასტონ ვილა	1.05	5.00
16009	შეფილდი-მიდლსბრო	1.70	1.80
16010	ვესტ ჰემი-რედინგი	1.40	2.40
16011	ბლექბერნი-უიგანი	1.30	2.70
16012	მანჩესტერი-ნიუკასლი	1.10	4.50
16014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.35	2.50
16015	უოტფორდი-ფულჰემი	1.60	1.90
16090	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.30	2.60
16091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	1.08	4.20
16093	მაზერველი-კილმარნოკი	1.90	1.60
16094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	1.90	1.60
16095	რეინჯერსი-აბერდინი	1.08	4.20
16096	ფოლკირკი-სელტიკი	4.00	1.07
16113	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.25	3.00
16115	აინტრახტი-ჰამბურგი	1.80	1.80
16116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	2.80	1.30
16118	ალემანია-ბოხუმი	1.45	2.30
16120	ნიურნბერგი-მაინცი	1.25	3.00
16121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.15	3.60
16122	არმინია-კოტბუსი	1.45	2.30
16124	ჰერტა-შტუტგარტი	1.50	2.20
16125	ლევერკუზენი-შალკე	1.70	1.90
16176	ატალანტა-რეჯინა	1.35	2.60
16178	ტორინო-ლაციო	1.70	1.90
16179	უდინეზე-ასკოლი	1.20	3.40
16180	კალიარი-ინტერი	3.10	1.25
16182	ფიორენტინა-კატანია	1.10	4.70
16183	მესინა-ლივორნო	1.50	2.25
16184	მილანი-სიენა	1.03	6.50
16186	რომა-ემპოლი	1.07	5.30
16187	სამპდორია-პარმა	1.30	2.80
16188	კიევო-პალერმო	1.90	1.70
16220	დეპორტივო-სოსიედადი	1.25	3.00
16222	უელვა-ბეტისი	1.70	1.80
16223	რასინგი-სელტა	1.70	1.85
16225	რეალი-ატლეტიკო	1.25	3.00
16227	სარაგოსა-ლევანტე	1.25	3.00
16229	ესპანიოლი-ოსასუნა	1.70	1.90
16230	მალიორკა-ვილარეალი	1.70	1.90
16231	სევილია-ხეტაფე	1.20	3.40
16233	ვალენსია-ტარაგონა	1.05	5.50
16235	ბილბაო-ბარსელონა	4.00	1.15
16288	სოშო-ლიონი	3.10	1.25
16290	ვალენსიენი-ბორდო	2.00	1.60
16291	სედანი-რენი	1.60	2.00
16292	მონაკო-ლე მანი	1.35	2.60
16294	ლილი-ნიცა	1.20	3.50
16295	ლორიანი-ტრუა	1.45	2.20
16296	ნანსი-ლანსი	1.60	2.00
16297	მარსელი-ტულუზა	1.22	3.30
16298	ოსერი-ნანტი	1.30	2.70
16299	სტ.ეტიენი-პსჟ	1.60	2.00

გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17003	ბოლტონი-ლივერპული	1.85	1.95
17004	ჩარლტონი-არსენალი	1.85	1.95
17006	ევერტონი-სიტი	1.85	1.95
17008	ჩელსი-ასტონ ვილა	1.85	1.95
17009	შეფილდი-მიდლსბრო	1.85	1.95
17010	ვესტ ჰემი-რედინგი	1.85	1.95
17011	ბლექბერნი-უიგანი	1.85	1.95
17012	მანჩესტერი-ნიუკასლი	1.85	1.95
17014	ტოტენჰემი-პორტსმუთი	1.85	1.95
17015	უოტფორდი-ფულჰემი	1.85	1.95
17090	ინვერნესი-დანფერმლაინი	1.85	1.95
17091	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	1.85	1.95
17093	მაზერველი-კილმარნოკი	1.85	1.95
17094	სტ.მირენი-ჰიბერნიანი	1.85	1.95
17095	რეინჯერსი-აბერდინი	1.85	1.95
17096	ფოლკირკი-სელტიკი	1.85	1.95
17113	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.85	1.95
17115	აინტრახტი-ჰამბურგი	1.85	1.95
17116	ვოლფსბურგი-ბაიერნი	1.85	1.95
17118	ალემანია-ბოხუმი	1.85	1.95
17120	ნიურნბერგი-მაინცი	1.85	1.95
17121	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.85	1.95
17122	არმინია-კოტბუსი	1.85	1.95
17124	ჰერტა-შტუტგარტი	1.85	1.95
17125	ლევერკუზენი-შალკე	1.85	1.95
17176	ატალანტა-რეჯინა	1.85	1.95
17178	ტორინო-ლაციო	1.85	1.95
17179	უდინეზე-ასკოლი	1.85	1.95
17180	კალიარი-ინტერი	1.85	1.95
17182	ფიორენტინა-კატანია	1.85	1.95
17183	მესინა-ლივორნო	1.85	1.95
17184	მილანი-სიენა	1.85	1.95
17186	რომა-ემპოლი	1.85	1.95
17187	სამპდორია-პარმა	1.85	1.95
17188	კიევო-პალერმო	1.85	1.95
17220	დეპორტივო-სოსიედადი	1.85	1.95
17222	უელვა-ბეტისი	1.85	1.95
17223	რასინგი-სელტა	1.85	1.95
17225	რეალი-ატლეტიკო	1.85	1.95
17227	სარაგოსა-ლევანტე	1.85	1.95
17229	ესპანიოლი-ოსასუნა	1.85	1.95
17230	მალიორკა-ვილარეალი	1.85	1.95
17231	სევილია-ხეტაფე	1.85	1.95
17233	ვალენსია-ტარაგონა	1.85	1.95
17235	ბილბაო-ბარსელონა	1.85	1.95
17288	სოშო-ლიონი	1.85	1.95
17290	ვალენსიენი-ბორდო	1.85	1.95
17291	სედანი-რენი	1.85	1.95
17292	მონაკო-ლე მანი	1.85	1.95
17294	ლილი-ნიცა	1.85	1.95
17295	ლორიანი-ტრუა	1.85	1.95
17296	ნანსი-ლანსი	1.85	1.95
17297	მარსელი-ტულუზა	1.85	1.95
17298	ოსერი-ნანტი	1.85	1.95
17299	სტ.ეტიენი-პსჟ	1.85	1.95

Guangzhou 2006
Direct Live Access

მსოფლიოს ჩემპიონატი
გუანჯოუ. ჩინეთი. 25-29 სექტემბერი

თავისუფალი

66 კგ	74 კგ	84 კგ
1 ბილ ზადიკი (აშშ)	1 იბრაგიმ ალდატოვი (უკრაინა)	1 საჯიდ საჯიდოვი (რუსეთი)
2 ოთარ თუშიშვილი (საქართველო)	2 ალი ასხარბაზრეი (ირანი)	2 რევაზ მინდორაშვილი (საქართველო)
3 ანდრეი სტადნიკი (უკრაინა)	3 დონ პრიცლაფი (აშშ)	3 რეზა იაზდანი (ირანი)
3 ჯეანდრი გარზონი (კუბა)	3 სოსლან ტიგიევი (უზბეკეთი)	3 ზაურბეკ სოხიევი (უზბეკეთი)

ქართველებმა ვერცხლი ჭამეს
მოამბე გვწამს, ზრუნვა გვაპვირვებს

გუანჯოუში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინდლამდე ოქროსთან ყველაზე ახლოს ბერძენ-რომაელი დავით ბედიენიძე იყო მისული. გუშინ კი მისი შედეგი თავისუფალი სტილის ორმა მოჭიდავემ გაიმეორა.

ოთარ თუშიშვილსა (66 კგ) და რევაზ მინდორაშვილს (84 კგ) ჩემპიონობამდე თითო გამარჯვება დააკლდათ. სამი წონიდან ორი ფინალი, თუნდაც ორივე წაგებული, ზოგადად, ნორმალურზე უკეთესი შედეგიც კია, მაგრამ თქმა არ უნდა, ერთი ოქროს მედალი სამივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს აღებით გამოწვეულ სიხარულს გადაფარავდა.

შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა თუშიშვილმა ჩინეთში ოთხი ბრძოლის მოგებით გაინაღდა უკეთესი სინჯის მედალი. მთავარ კონკურენტს, მახაჩ მურთაზალიევს კენჭისყრამ ნახევარფინალამდე აიცილა, თუმცა ტიტულებით დახუნძლულ რუსს აღრიანად დაუცდა ფეხი უკრაინელ ანდრეი სტადნიკთან. ოთარმა სწორედ ამ უკანასკნელს აართვა ფინალის საგზური. იქამდე კი მოლდოველი ონისიმ ტალამბატი, სომეხი ჟირაირ ოგანესიანი და ბულგარელი სერაფიმ ბარზაკოვი დაამარცხა. ცნობისთვის, ეს ბალკანელი მსოფლიოს ვიცეჩემპიონობით იწონებდა თავს.

ფინალზე საუბრისას არ იქნება, ახალი საჭიდაო წესები ერთხელაც არ ვახსენოთ. ჩინურ დარბაზში ქართული ჰიმნის აჟღერებას ხომ ფილას უაზრო წესმა — მონეტის აგდებამ შეუშალა ხელი. მესამე რაუნდის ფრედ დასრულების შემდეგ ლურჯ-წითელი მონეტა ამერიკელის ფერზე — წითელზე დაჯდა და მანაც კარგად შეირგო საჩუქარი.

რევაზ მინდორაშვილის მეორე ადგილი კი კანონზომიერი იყო. ჩვენმა მსოფლიოს ჩემპიონმა ტიტულის დასაცავად თავი არ დაზოგა, მაგრამ ასევე მსოფლიოს ჩემპიონ რუსთან, საჯიდ საჯიდოვთან ვერაფერს გახდა. ოქროს ბედი ორ რაუნდში გადაწყდა, თან ისე, რომ მსაჯებს არც ერთხელ არ დასჭირვებიათ მონეტის აგდება. ფინალამდე მინდორაშვილმა სამი მეტოქე ჩამოიცილა. ტურნირი გერმანიის სახელით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილის ძლევით დაიწყო, მეოთხედფინალში სომეხ ვადიმ ლალიევს სძლია, ნახევარფინალში — უზბეკ ზაურბეკ სოხიევს.

74 კილოგრამში მოჭიდავე გელა საღირაშვილმა პირდაპირ მეორე წრიდან დაიწყო. აზერბაიჯანელ ელნურ ასლანოვის ძლევით მერვედფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ პოლონელ კრისტიან ბრზოჟოვსკისთან ვეღარას გახდა და რახან მერე პოლონელმაც წააგო, ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსიც დაკარგა.

ჩემპიონატს 96 და 120-კილოგრამიანები დახურავენ. საქართველოს სახელით ხალიჩაზე ორი მსოფლიოს ჩემპიონი — გიორგი გოშელიძე და ლუკა კურტანიძე — გავა. ცხადია, ორივე ფავორიტებში მოიხსენიება და ნანატრი ოქროს მოპოვება ორივეს რეალურად შეუძლია. მათი მთავარი კონკურენტებიც რუსეთის სახელით მოჭიდავე ფალავნები არიან. გოგშელიძე მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ჰაჯიმურატ გაცალოვს კენჭისყრამ ფინალამდე ააცილა. თუ იქამდე ორივემ მიაღწია, ჩვენებურს დამატებით მოტივაციად აპრილში მოსკოვურ მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი საეჭვო მარცხიც ექნება. კურტანიძე და კურამაგომედ კურამაგომედოვი კი ბადის ერთ მხარეს მოხვდნენ და მათი გზები ნახევარფინალში იკვეთება.

ბოლოს ორი სიტყვით მსოფლიოს ჩემპიონატის პირდაპირ ტელერეპორტაჟზეც. საზოგადოებრივ არხზე გუშინ ხეირიანად მხოლოდ მესამე ადგილისთვის შეხვედრებს ვუყურეთ. სამი ფინალიდან კი პირდაპირ ეთერში მხოლოდ ერთი — მინდორაშვილ-საჯიდოვის შეხვედრა გავიდა. თუშიშვილის გადამწყვეტი ბრძოლა, ბედის ირონიით, საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ დაემთხვა და, რაღა თქმა უნდა, ჩანაწერად შემოგვთავაზეს. თან აღარ გვანერვიულეს და შედეგი წინასწარ გვაცნობეს. 74 კილოგრამის ფინალი კი, საერთოდ, თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს ვთხოვთ, იქნებ თბილისის დროით საშიდან ოთხის ნახევრამდე ჭიდაობები შეაჩერონ. იმ შემთხვევაში მაინც, თუ მედლებისთვის ქართველები იჭიდავებენ, რადგან „მოამბე“ ხელუხლებელია...

ოთარ მაღლაკელიძე

ბათუმის ღია პირველობა
ჰარდი. საპრიზო 25 000 $

ორი ჩვენი და 1/4

პირველი წრე

პეტრა ცეტკოვსკა (1, ჩეხეთი) — სალომე ჩაჩხუნაშვილი (საქართველო) 3:6 6:3 6:4; პემრა ოზგენი (5, თურქეთი) — ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუსეთი) 6:0 6:1; სორინა-მიქაელა კირსტეა (4, რუმინეთი) — ვალენტინა პონომარცევა (რუსეთი) 6:4 6:1; აგნეს ზატმარი (8, რუმინეთი) — ფარიდა კარალიოვა (უკრაინა) 6:3 6:0; იპეკ სენოღლუ (თურქეთი) — ვიკტორია სემიროდენკო (უკრაინა) 6:3 6:1; კატერინა პოლუნინა (უკრაინა) — ვასილისა დავიდოვა (რუსეთი) 7:6 7:6; კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი) — სოფო ქვაცაბაია (საქართველო) 3:6 6:3 6:3

მეორე წრე

ცეტკოვსკა — ვარვარა გალანინა (რუსეთი) 6:3 6:2; ოზგენი — ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) 6:2 6:3; ამინა რახიმი (ყაზახეთი) — კირსტეა 6:3 7:5; ეკა გორგოძე (საქართველო) — სტელა მენა (7, იტალია) 6:4 2:6 6:3; ზატმარი — პოლუნინა 6:0 6:0; ანა ლაპუჩენკოვა (3, რუსეთი) — სენოღლუ 6:4 6:1; სოფო შაფათავა (საქართველო) — ევგენია გრებენიუკი (5, რუსეთი) 6:4 6:1; მარინა შამაიკო (2, რუსეთი) — გრიგორიანი 6:3 6:2

სოფო შაფათავა

გუშინ ბათუმის კორტებზე მძიმე დღე იყო — ქალთა ღია პირველობის მონაწილეებმა ჯერ წვიმის გამო გადადებული პირველი წრის მატჩები ჩაათამაშეს, მერე მეორე წრის შეხვედრებიც სრულად გამართეს და მეოთხედფინალისტები გამოავლინეს.

მეოთხედფინალს ორმა ქართველმა უწია — ეკა გორგოძემ და სოფო შაფათავამ ოთხშაბათს კარგად დაწყებული საქმე გუშინაც კარგადვე გააგრძელეს. გორგოძემ მე-7 ნომრად განთესილ იტალიელ სტელა მენას სამ სეტში 6:4 2:6 6:3 სძლია და ახლა „იან ჰომერის“ თასის ფინალისტს, ყაზახ ანა რახიმს შეხვდება, ხოლო შაფათავამ იოლად — 6:4 6:1 აჯობა მე-6 ნომრად განთესილ რუს გრებენიუკს და მეოთხედფინალში კი კიდევ ერთ, ოღონდ, უკვე მე-2 ნომრად განთესილ რუს მარინა შამაიკოს დაუპირისპირდება.

პირველ წრეში დაასრულეს თამაში სალომე ჩაჩხუნაშვილმა და სოფო ქვაცაბაიამ. სალომე ტურნირის მთავარ ფავორიტს, ჩეხს პეტრა ცეტკოვსკას მთელი სამი სეტი ეომა, თუმც ბოლოს მაინც დამარცხდა — 6:3 3:6 4:6, ხოლო ქვაცაბაიას ასევე სამ სეტში მოუგო რუს-სომეხმა კრისტინე გრიგორიანმა.

გიორგი მურვანიძე

უგრეხელიძის რუსთავული ტრამპლინი

სეზონთშორის პერიოდში ქართულ გუნდებში იმდენი ტრანსფერი ხორციელდება, ყველას რას გამოეკიდები. ყურადღებას ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეების მიმოსვლაზე თუ გავამახვილებთ, მით უფრო, როცა საქმე ეროვნული ნაკრების წევრს ეხება.

დავით უგრეხელიძე, შარშანდელის დარად, საქართველოში ბრუნდება. ეს 208-სანტიმეტრიანი მოთამაშე ძირითადად ასეა — სეზონს სამშობლოში, რომელიმე წამყვან გუნდში იწყებს და მერეღა გადადის რომელიღაც სლოვენიურ კლუბში. სეზონის წინ უგრეხელიძეს არაერთი უცხოური გუნდის ვარიანტი აქვს ხოლმე, რომლებთან მოლაპარაკებაც მიზეზთა გამო იწელება და სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად დავითი ჩვენს ჩემპიონატში თამაშობს.

არ ვიცით, წავა თუ არა ამჯერად უგრეხელიძე საზღვარგარეთ, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ის სეზონს რუსთავის „აზოტში“ დაიწყებს. შარშანდელი სეზონი დავითმა „თსუ-ნიკორაში“ დაიწყო, მაგრამ სლოვენიური „პივოვარნას“ ვარიანტი გამოუჩნდა და საქართველო მალევე დატოვა.

უგრეხელიძემ „პივოვარნაში“ არცთუ კარგი სეზონი გალია — 5-10 წუთს თამაშობდა და შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიდა. მიუხედავად ამისა, მან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ადგილი იოლად მოიპოვა და 4 საკვალიფიკაციო მატჩიდან ორში ითამაშა.

ახლახან „თსუ-ნიკორას“ წამყვანმა ბირთვმა თავის მთავარ მწვრთნელთან ერთად „აზოტს“ მიაშურა — უგრეხელიძეც ქვემო ქართლში გადაბარგდა და თუ ისევ უცხოეთში არ წავიდა, რუსთაველებს გვარიანად ახეირებს.

ირაკლი პერტაია

თებერვალი, თბილისი და პორტუგალია

ვალის აღება ქართველთა ვალია

დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის I ჯგუფში აღზევებული საქართველოს ნაკრები მისთვის ახალ და მაღალ დონეზე პირველ მატჩს 2007 წლის 9-11 თებერვალს ჩაატარებს და პორტუგალიას უმასპინძლებს.

დევისის თასის 2007 წლის გათამაშების კენჭისყრა გუშინ იტალიაში, რომის „ფორო ოლიმპიკოს" საჩოგბურთო სტადიონზე გაიმართა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს გაუმართლა — ცხრა შესაძლო მეტოქიდან, ალბათ, ყველაზე სასურველი შეხვდა.

ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში სულ ათი გუნდია. ამათგან ოთხი — სლოვაკეთი, ჰოლანდია, სერბეთი და იტალია განთესილი იყო. ამათზე აღარ არის ლაპარაკი და პორტუგალია ბრიტანეთზე, ისრაელზე, ლუქსემბურგსა და მაკედონიაზეც სუსტია. თანაც, 1998 წელს საქართველო პორტუგალიას სტუმრად ეთამაშა და დევისის თასის რეგლამენტის თანახმად, ახლა მასპინძლები ჩვენ ვიქნებით.

პორტუგალიასთან გამარჯვების შემთხვევაში შემდეგი მეტოქე სერბეთი იქნება და, თუ ამ ბარიერსაც გადალახავს, მერე ჩვენს ნაკრებს, უკვე მსოფლიო ლიგაში გადასასვლელი საპლეიოფო მატჩი ექნება ლიგის მერვედფინალის ერთ-ერთ დამარცხებულთან.

ისიც სათქმელია, რომ საქართველოს პორტუგალიასთან რევანში აქვს ასაღები — 1998 წლის 1-3 მაისს გამართული მატჩი ლუზიტანებმა 5:0 მოიგეს, თანაც ისე, რომ სეტიც არ დაუთმიათ — ნუნუ მარკეშმა იური კუნჭულიას 6:0 6:3 6:2 სძლია, ჟოაო სუნჰა-სილვამ ვლადიმერ მარგალიტაძეს 6:2 6:3 6:3 მოუგო, მერე კოუტუსა და მოტას დუეტმა მარგალიტაძისა და გიორგი სამხარაძის წყვილს 7:6 6:1 6:3 აჯობა და მესამე დღის, უკვე არაფრისმომცემ მატჩებში კი მარკესმა მარგალიტაძეს სძლია 7:5 6:3, ხოლო სუნჰა სილვამ — სამხარაძეს 6:0 6:3.

სულ პორტუგალიელებს, 1925 წლიდან მოყოლებული, დევისის თასზე 81 მატჩი აქვთ ჩატარებული, რომელთაგან 29 მოიგეს და 52 წააგეს (თიხაზე 24-40, ხალიჩაზე 2-7, ბალახზე 0-2, ჰარდზე 3-3; ღია არენაზე 25-41, დარბაზში 4-11). ბოლო ორ სეზონში მათ 5 შეხვედრიდან 4 მოიგეს. 2005 წელს ევროაფრიკული ზონის II ჯგუფში მიყოლებით დაამარცხეს ესტონეთი — 4:1, ალჟირი — 3:2 და სლოვენია — 4:1, ხოლო წელს, უკვე I ჯგუფში, ჯერ ლუქსემბურგთან წააგეს 1:4, მერე კი მაროკოს ჯგუფში დასარჩენ შეხვედრაში 3:2 სძლიეს.

პორტუგალიელთა რეკორდსმენი, როგორც ჩატარებული, ისე მოგებული მატჩებით, ხსენებული ჟოაო სუნჰა-სილვაა, რომელმაც სულ ჩატარებული 77 თამაშიდან 37 მოიგო და 40 წააგო და აქედან ერთეულთა თანრიგში გამართული 53 მატჩიდან 25-ში იმარჯვა და 28-ში დამარცხდა.

დღევანდელი პორტუგალიის ნაკრების ლიდერი ATP-ის კლასიჭიკაციაში ამ წუთისთვის 161-ე ადგილზე მყოფი 21 წლის ფრედერიკო ჟილია, ვისაც დევისის თასზე ჩატარებული 17 მატჩიდან 11 მოგებული აქვს და 6 წაგებული. მეორე ნომერია რეიტინგის 574-ე პოზიციაზე მყოფი ჟონკალო ნიკაუ, ვინც 24 წლის კი გახლავთ, მაგრამ დიდი სადევისთასო გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის — 3 მატჩში ერთი მოგება და ორი წაგება. ჟილისა და ნიკაუს გარდა მაროკოსთან მოგებულ მატჩში პორტუგალიელთა განაცხადში 18 წლის პედრო სოუზა და 22 წლის დიეგო როხაც იყვნენ, რომლებიც ATP-ის მიმდინარე, რეიტინგში მოხსენიებულნი არ არიან.

დევისის თასის 2007 წლის გათამაშების ჯენჭისყრა

მსოფლიო ლიგა

ჩილე — რუსეთი, საფრანგეთი — რუმინეთი, გერმანია — ხორვატია, ბელგია — ავსტრალია, ჩეხეთი — აშშ, შვეიცარია — ესპანეთი, შვედეთი — ბელარუსია, ავსტრია — არგენტინა

ევროაფრიკული ზონის I ჯგუფი

ისრაელი — ლუქსემბურგი, საქართველო — პორტუგალია. სლოვაკეთი, მაკედონია, იტალია, სერბეთი, ბრიტანეთი და ჰოლანდია პირველ ეტაპზე არ თამაშობენ

ევროაფრიკული ზონის II ჯგუფი

მაროკო — დანია, სლოვენია — ესტონეთი, უკრაინა — საბერძენთი, პოლონეთი — ნიგერია, ლატვია — ბულგარეთი, კვიპროსი — ფინეთი, მონაკო — ალჟირი, ნორვეგია — უნგრეთი

ამერიკის ზონის I ჯგუფი

ვენესუელა — პერუ, კოლუმბია — კანადა. მექსიკა და ბრაზილია პირველ ეტაპზე არ თამაშობენ

ამერიკის ზონის II ჯგუფი

ეკვადორი — ჰოლანდიის ანტილიაა, ურუგვაი — იამაიკა, სალვადორი — დომინიკის რესპუბლიკა, კუბა — პარაგვაი

აზია-ოკეანიის ზონის I ჯგუფი

ტაილანდი — ტაივანი, იაპონია — ჩინეთი, უზბეკეთი — ინდოეთი, ყაზახეთი — კორეა

აზია-ოკეანიის ზონის II ჯგუფი

პაკისტანი — ფილიპინები, ახალი ზელანდია — წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრები, ირანი — კუვუიტი, ჰონკონგი — ინდონეზია

კაცები
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 525 000 $

მეორე წრე

როგი ვინეპარი (7, აშშ) — დანაი უდომჩაკე (ტაილანდი) 6:3 6:3; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) 6:3 5:7 6:1; **იარჟო ნიემინენი** (5, ფინეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 2:6 7:6 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (3, აშშ) — ბენჯამინ ბალერე (მონაკო) 6:3 6:2; **ვიშა ზვერევი** (გერმანია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 7:5; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 6:7 6:2; **პარადორნ შრიჩაპანი** (8, ტაილანდი) — მიხაილ ლედოვსკიხი (რუსეთი) 6:4 5:7 6:2

კაცები
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ფერნანდო ვერდასკო (1, ესპანეთი) — იან ჰაჟეკი (ჩეხეთი) 6:2 6:2; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 2:6 6:4 6:4; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:2 6:2; **ჟილ სიმონი** (3, საფრანგეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 7:5 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (4, ესპანეთი) — ფრანტიშიკ ჩერმაკი (ჩეხეთი) 6:1 6:2; **რუბენ რამირეს-იდალგო** (8, ესპანეთი) — ჯანლუკა ნასო (იტალია) 6:2 6:2

კაცები
მუმბაი. ინდოეთი. ჰარდი
საპრიზო 380 000 $

პირველი წრე

ბიორნ ფო (6, გერმანია) — გოიჩი მოტომურა (იაპონია) 6:3 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (3, ჩეხეთი) — სიმონ გროილი (გერმანია) 7:6 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (4, რუსეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 6:7 6:3 6:4; **ჯეიმს ოკლეჰდი** (ბრიტანეთი) — ვესლი მუდი (8, საბრერეთ აფრიკა) 7:6 7:6; **რაგოს დელგადო** (პარაგვაი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:3 4:1 *(უარი)*

ქალები
ლუქსემბურგი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

ვენუს უილიამსი (აშშ) — ანა ივანოვიჩი (6, სერბეთი) 6:3 6:4

მეორე წრე

ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 7:5 6:1; **პატი შნიდერი** (3, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:0 6:3; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 4:6 6:4 6:3; **ფრანჩესკა სკიავონი** (5, იტალია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:2 6:1

ქალები
გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 175 000 $

მეორე წრე

ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:4 6:4; **იან-ჩონგ ჩენი** (ჩინეთი) — ანასტასია იაკიმოვა (8, რუსეთი) 6:1 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (3, რუსეთი) — ელიზა ტამაელა (ჰოლანდია) 6:2 6:7 6:3; **ციპორა ოზგილერი** (ისრაელი) — ელენა ვესნინა (7, რუსეთი) 4:6 6:3 6:3; **ნა ლი** (2, ჩინეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:2 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:2 6:3

მირზამ ჰინგისს კალკუტა გაუხსნა



AFP სეულიდან

ქალები
სეული. სამხ. კორეა. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

მეორე წრე

სანია მირზა (ინდოეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 4:6 6:0 6:4; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ანჟელიკა ვიჯაია (ინდოეთი) 6:4 6:3; **აი სუგიამა** (4, იაპონია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3 6:1; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:4 6:3; **მარიონ ბარტოლი** (3, საფრანგეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 7:6 6:1

ტკბილ-მწარე სიხარულიანი დღე გამოუვიდათ ბანგკოკელებს — მათი ფავორიტი პარადონ შრიჩაპანი კი გავიდა შემდეგ წრეში, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე ტაილანდელმა, დანი უდომჩაკემ წააგო და მასპინძლებმაც ბოლომდე ვერ გაიხარეს.

ისე, შრიჩაპანსაც ძალიან გაუჭირდა რუს ლედოვსკიხთან. ეგ კი არა, „ჩელენჯერების" კლიენტმა სლავამ სეტიც მოუგო მასპინძელს და მაგრადაც ეომა, თუმც შრიჩაპანმა მაინც არ ისურვა თანამემამულეთა დამწუხრება.

ჩოგნის მძლავრად ქნევას აგრძელებს ჯემს ბლეიკი. მესამე ნომრად განთესილმა ამერიკელმა მეოთხედფინალს უწია და შანხაისკენ ერთი პატარა ნაბიჯით წაიწია. შემდეგ წრეში კი შავტუხა იანკს ალბათ მეტი ძალების დახარჯვა მოუწევს, რადგანაც კიდევ ერთ განთესილ იარკო ნიემინენს დაეტაკება.

მეოთხედფინალში გავიდა მარატ საფინიც, მაგრამ რუსს პრობლემების გარეშე გამარჯვება წლეულს არ გამოსდის და ახლაც ასე იყო — ერთი სეტი ჟულიენ ბენეტოს დაუთმო, თუმც საბოლოოდ მაინც დაძლია ფრანგული ბარიერი. ტიმ ჰენმანმა კი მეოთხედფინალმდე მარტო თანამემამულეების „ძვლებზე" იარა და ენდი მიურეის კიდევ ერთი ბრიტანელი, ალექს ბოგდანოვიჩიც მიაყოლა.

ლუქსემბურგში კი ფავორიტებმა გაილალეს. მართალია, ანა ივანოვიჩი მეექვსე ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ძველი ტრადიციითა თუ მისი დამსახურებების გათვალისწინებით, ვინუს უილიამსი ახლაგაზრდა სერბთან მაინც ფავორიტად ითვლებოდა. ისე, ამერიკელმა წლეულს თავი მხოლოდ ტრავმების შემდეგ კორტზე მობრუნებით თუ დაგვამახსოვრა — ახლაც სამთვიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა და მაშინვე განთესილი გაადგო. უილიამსთან შედარებით ივანოვიჩი მართლაც ბავშვივით გამოიყურებოდა და ამერიკელი ლამის უპრობლემოდ გაატარა წინ.

მოიგეს ტურნირის სხვა ფავორიტებმაც — პირველმა ნომერმა ელენა დემენტიევამ და მესამემ, პატი შნიდერმა. ფედერაციის თასზე იტალიისთვის მესამე და ოქროს ქულის მომტანი წყვილი — ფრანჩესკა სკიავონე და რობერტა ვინჩი კი ამჯერად ერთამნეთს დაეტაკა, სადაც რანგით უფრო მაღალმა სკიავონემ მიწასთან გაასწორა მეტოქე.

სეულში კარგა გვარიანი სენსაცია გამოცხვა — რაც ერთი კვირის წინ სანია მირზამ მშობლიურ კალკუტაში ვერ შეძლო, კორეის დედაქალაქში გააკეთა და მარტინა ჰინგისი დასცა. ინდოელმა პირველი სეტი კი წააგო შვეიცარიელთან, მაგრამ შემდეგ ჯერ ნულზე გაყინა მრისხანე მეტოქე, მერე ერთი ბრეიკიც გააკეთა და გემრიელ მოულოდნელობასაც უავტორა.

კახა ლომაჯვილი

ბიელა: არც მაკა, აღარც ოქსანა

ოქსანა კალაშნიკოვა

იტალიურ ბიელაში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასიანი ტურნირი, ამერიკული აშლანდის ანალოგიური შეჯიბრის დარად, ქაროველებისთვის ნაადრევად დასრულდა — აშლანდის ჰარდზე სოფო მელიქიშვილმა და სალომე დევიძემ ვერ დაძლიეს საკვალიფიკაციო ბარიერი, ხოლო ბიელას თიხაზე საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი და ძირითად ბადეში „ვაილდ ქარდით" მოხვედრილი ნორჩი ოქსანა კალაშნიკოვა პირველივე წრეში დამარცხდნენ.

16 წლის კალაშნიკოვას მარცხი ლოგიკური იყო — ჩვენებურს ტურნირის მეხუთე ნომერმა, კლასიფიკაციაში 108-ე პოზიციაზე მყოფმა 26 წლის ჩეხმა სუსანა ონდრაშკოვამ 6:3 6:2 აჯობა. აი, ჩახნაშვილს კი მასზე დაბალი რეიტინგის მქონე რუმინელმა სიმონა ლულია-მატეიმ სძლია. კლასიფიკაციის 180-ე ნომერმა 30 ადგილით წინ მყოფი მაკა სამ სეტში — 7:6 1:6 6:1 დაამარცხა.

ევროპის ჩემპიონატი. 20-წლამდელები
ჰოლონეთი. 24 სექტემბერი – 1 ოქტომბერი

ახალგაზრდებმა ესპანური მოიხადეს

წინ მარადიული მეტოქე რუმინეთია

საქართველო 23:11 ესპანეთი

პოლონურ სოპოტში ქართველმა ახალგაზრდებმა ევროელიტში მეორე მატჩი ჩაგრიალეს. რუსეთის ძლევის შემდეგ ჩვენმა 20-წლამდელებმა გუშინ ესპანეთს გამოუყვანეს წირვა და თუ 1 ოქტომბერს რუმინეთსაც იგივეს დამართებენ, შარშან მოპოვებულ ევროპის ჩემპიონობას შეინარჩუნებენ.

პირველი ტაიმი ქართველებმა მინიმალური სხვაობით, 8:6 მოიგეს, მეორეში კი, რომ იტყვიან, აიწყვიტეს და მეტოქის დაცვას გადაუარეს. ჯამში ჩვენებმა სამი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო უთავაზეს ესპანელებს, მეტოქემ კი კინკილა ლელო და ორი საჯარიმო მოინაგრა.

აღსანიშნავია, რომ ქართველები ორჯერ იყვნენ კაცნაკლულნი. უხეში თამაშისთვის იტალიელმა მსაჯმა ათათი წუთით ორი ჩვენიანი გააძევა. მესამე ლელო ქართველებმა სწორედ უმცირესობაში ყოფნისას გაიტანეს.

ბაჩო სვანიძე



ევგენი მალკინი და ბესო ცინცაძე

ქართველი NHL-ში

ბესო მასწავლებელი პინგვინებს აფრთიანებს

თითქოსდა რა შუაშია ნჰლ-ი და ქართველი კაცი? ჩვენს ქვეყანაში ხომ არცთუ ბევრი მოიძებნება, ჰოკეის რომ ადევნებს თვალს და მით უმეტეს, შორს უნდა ვიყოთ ნაციონალური ჰოკეის ლიგისგან.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ერთი ჩვენიანი დიდ ჰოკეისთან ახლოს დგას და ნჰლ-ურ საქმიანობაშიც აქტიურად არის ჩაბმული. საუბარი ყოფილ ქართველ მოციგურავე ბესო ცინცაძეზე გვაქვს. შეიძლება, ეს სახელი და გვარი ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ ცინცაძე ფიგურულ სრიალში საქართველოს ექვსგზის ჩემპიონია და სპორტის ამ სახეობაში სამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც უსრიალია.

თუმც მთელი რიგი მიზეზების გამი ცინაცაძემ ათიოდე წლის წინ აშშ-ს მიაშურა, სადაც კარგა ხანს ეგრეთ წოდებულ „ყინულის შოუში“ მონაწილეობდა და წამყვანი მოცეკვავეც გახლდათ, მაგრამ ტრავმის გამო ამ საქმეს თავი დაანება.

ჰოკეი რაღა შუაშია? იმაში, რომ აქტიური სპორტს ჩამოცილებული ქართველი კარგი მასწავლებელი გამოდგა — ის უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჰოკეისტებს ციგურაობის დახვეწას ასწავლის. ეს საქმე ცინცაძემ ჯერ დაბალი ლიგებიდან, კერძოდ, პატარა ქალაქ ვილკეს-ბარეს ჰოკეის გუნდიდან დაიწყო და იმდენად წარმატებულადაც, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მაღლა მიიწევდა. ახლა ცინცაძე ნჰლ-შია, „პიტსბურგ პინგვინზსში“, სადაც სპეციალურად მისთვის ახალი თანამდებობა შექმნეს — ციგურაობის გაუმჯობესების ინსტრუქტორი. ცინცაძეს უკვე ნჰლ-ის ვარსკვლავებთან უწევს ურთიერთობა. ეგ კი არა, წლეულს სავარჯიშო კემპში მაყურებლისა და ჟურნალისტების ინტერესის სფეროში აღმოჩნდა.

„ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, როცა ახალგაზრდებს რაიმე ახალს ვაჩვენებ და მერე იმეორებენ. მიხარია შედეგს რომ ვხედავ. ამას წინათ სიდნი კროსბი მოვიდა და პირდაპირ მითხრა, ბესო, თუ რაიმე მაქვს გამოსასწორებელი, პირდაპირ მითხარი“ — ამბობს ცინცაძე.

ხანდახან ის ძველებურ ილეთებს გაიხსენებს ხოლმე და ჰოკეისტებს ართობს:

„ხანდახან ვმაიმუნობ და ბიჭებიც იცინიან. თუმც მათ იგივეს გამეორებას ვუკრძალავ — ძალიან ძვირად ფასობენ და მათი ტრავმირება დაუშვებელია“ — ხუმრობს ქართველი.

ახლა ცინცაძეს ახალი როლიც გამოუჩნდა — რადგანაც „პინგვინზის“ ორგანიზაციაში ერთადერთია, ვისაც რუსულად საუბარი შეუძლია, ქართველს გუნდის სუპერახალწვეულ ევგენი მალკინის მეურვეობა დაავალეს. ცინცაძე მალკინს ახალ ქვეყანას, კულტურასა და იქაურ ჩვეულებებს აცნობს:

„ევგენი მშვენიერი პიროვნებაა და ერთმანეთს კარგადაც გავუგეთ. ცოტა ინგლისურსაც ვასწავლი და აქაურობას ვაჩვენ — მე ეს ეტაპი უკვე გავიარე და გამოცდილებას ვუზიარებ“.

როგორც ხედავთ, ცინცაძე აქტიურად არის ჩართული “პინგვინზის“ წინასასეზონო ორომტრიალში. რაც მთავარია, ქართველს არა მარტო პიტსბურგში, არამედ მთლიანად ნჰლ-ში აფასებენ — უკვე რამდენიმე გუნდიდან აქვს მიწვევა, მაგრამ ჯერჯერობით პენსილვანიის დატოვებას არ ჩქარობს.

კახა ლომაშვილი

გეორ-გია და ბრაზილია

თითქმის თვენახევრიანი უქმობის შემდეგ პლაჟის ფრენბურთის ქართული წყვილი — რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ და გია — ქვიშნარს დაუბრუნდა.

ამჯერად ჩვენი ბრაზილიელები, ბრაზილიაში, მშობლიურ ვიტორიაში, იქაურ პრესტიჟულ ეტაპზე თამაშობენ. ეტაპის რეიტინგულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ ტურის საპრიზო ფონდი ერთობ სოლიდური — 200 ათასი დოლარია.

სამწუხაროდ, გაქართველებული ბრაზილიელების საშემოდგომო ფრენბურთობა წარუმატებლად დაიწყო. ჩვენები ძირითად ბადეში იყვნენ განთესილნი და პირველივე წრეში თანამემამულეებთან, ლუიზაოსთან და ნალბერტთან, 40 წუთში 0:2 წაგეს. ვიტორიაში გეორ და გია 22-ე ნომრად არიან განთესილები, ხოლო ლუიზაო და ნალბერტი ეტაპის მოგების მე-11 პრეტენდენტები არიან.

ამ წაგებით ჩვენებისთვის ეტაპი არ დასრულებულა, რაკი პლაჟის ფრენბურთის ძირითად ბადეში ერთი მარცხი გეპატიება. ასე რომ, მათ დღეს კიდევ ერთი შანსი მიეცემათ.

ბაჩო სვანიძე



ვიქტორ კორჩნოი

თამარ ხმიადაშვილი ვეტერანებში მეორეა

იტალიურ ბალე დაოსტაში ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა.

ქალთა შორის წარმატებით იასპარეზა ჩვენებურმა თამარა ხმიადაშვილმა, რომელმაც 11 პარტიაში მან 7,5 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. ოქროს მედალი კი რუს ლუდმილა საუნინას ხვდა წილად, რომელმაც ქართველს ნახევარი ქულით აჯობა.

კაცებში იყორაღა 75 წლის შვეიცარიელმა ვიქტორ კორჩნოიმ მან 9 ქულა აიღო და მეორეადგილოსან ჩეხ ვლასტიმირ იასნას ნახევარი ქულით აჯობა. მესამეზე გავიდა ბულგარელი ლიუბენ სპასოვი. სლავმა დიდოსტატმა სამ მოჭადრაკესთან ერთად 8 ქულა მოაგროვა, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით გადაუსწრო და ბრინჯაოს მედალსაც დაეუფლა.

ლაშა გეგეჭკორი

ლოებმა ხელი მოიტეხა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მერალემ სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მესამე ტიტულისკენ გზა კურიოზული ტრავმის გამო გაირთულა.

შვეიცარიის მთებში ვარჯიშისას 32 წლის სიტროენელი პილოტი ველოსიპედიდან გადმოვარდა და ხელი მოიტეხა. როგორც ფრანგული საჯინიბოს ბოსმა მარკ ვან დალენმა განაცხადა, სები ორი კვირის შემდეგ თურქეთის დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ლოებმა ოქტომბრის ბოლოს ავსტრალიის გზებზეც ვერ გაიქროლოს, ამდენად მის ერთადერთ კონკურენტ მარკუს გრონჰოლმს საგვირგვინო შანსი მნიშვნელოვნად გაეზრდება.

ეს ისე, სავარაუდოდ, თორემ იქნებ ლოებმა მორიგი ტიტული დაუსწრებლადაც გაინაღდოს, რაც იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გრონჰოლმი თურქეთში საპრიზო პოდიუმზე ვერ ავა. შეგახსენებთ, რომ სებასტიენი საღღეისოდ 35 ქულით უსწრებს მარკუსს, ჩემპიონატის ფინიშამდე კი ოთხი ეტაპია დარჩენილი.

გია ახალაძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00